# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 18 მაისი 2007 №111 (3034) ფასი 50 თეთრი



# გასრულდა ესე ამბავი
## ოთხი დღე უკან, ოთხი წელი წინ



ფრანჩესკო ტოტის „რომამ" საშინაო 6:2 დაიცვა: „ინტერთან" სტუმრად მხოლოდ 1:2 წააგო და იტალიის თასიც დაისაკუთრა

# ROMA MIA, COPA MIA

# აზოტს შარის თავი არ აქვს

დღეს ვერის ბაღში ფინალური სერიის მესამე შეხვედრაა, რომელიც რუსთაველებისთვის საჩემპიონოა, თბილისელებისთვის კი იმედის გამჩენი. „აზოტმა" საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ვალი მოიხადა — რუსთავში ორივე მატჩი მოიგო და ჩემპიონობას ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდა. ამ ნაბიჯის გადადგმას დავით უსტიაშვილის შეგირდები დღეს ეცდებიან. თავის მხრივ, მოქმედი ჩემპიონი „ავიამშენიც" არ აპირებს დათმობას, მაგრამ მისი საქმე თითქმის უიმედოა — ლევან მოსეშვილის შეგირდებმა დღეს ხომ უნდა მოიგონ, ხვალაც და, თუ ეს მოახერხეს, მეხუთე, გადამწყვეტი მატჩის ჯერიც დადგება...

რუსთაველები კი ამბობენ, კარგი იქნება საკუთარ ქალაქში გაჩემპიონება, მაგრამ შარის თავი არა გვაქვს, ოქროს განაღდებას თბილისშივე შევეცდებითო.



# ოთხი დღე უკან, ოთხი წელი წინ

## ნოდარ ახალკაცმა დაინახა და ირწმუნა



**ნოდარ ახალკაცი** 2005 წლის ივნისში გახდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და მინიმუმ 2011 წლამდე დარჩება. და რა არის ამხელა დროში ოთხი დღე? არც არაფერი: 13, 14, 15 და 16 მაისი ისტორიას ჩაბარდება. ახალკაცმა 13 მაისს პრეზიდენტის არჩევნები წააგო, მაგრამ გუშინ მოიგო.

თბილისის უკიდურეს დასავლეთში, „ბასას" ბაზაზე ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია ათის ნახევრიდან დაიწყო, 11 საათზე კი ყრილობის დროც დადგა. ოთხი დღის წინანდელ არჩევნებთან შედარებით ინტრიგა გამქრალი იყო — დარბაზში ყველამ იცოდა, რომ ახალკაცი პრეზიდენტის სავარძელს დაიბრუნებდა: მისი ერთადერთი მოცილე ხომ მამუკა კვარაცხელია იყო, რომელმაც 13 მაისის არჩევნებში ვერცერთი ხმა ვერ მიიღო.

ყრილობის დამკვირვებელი უეფას ჩინოვნიკი ბრუნო ვოლფისბერგი გახლდათ, რომელიც საქართველოში აქამდეც ყოფილა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ახალკაცის წინამორბედ მერაბ ჟორდანიასთან და მის გუნდთან.

13 მაისის ყრილობაზე 68 დელეგატიდან ხმოსანი 32 იყო, გუშინ კი „ბასას" დარბაზში 51 დელეგატი მოგროვდა, რომელთაგან 27-ს ჰქონდა ხმის უფლება. რა თქმა უნდა, „ბასაზე" არმისულ ხუთ ხმოსანს შორის ყველა გიორგი ნემსაძის მხარდამჭერი იყო, მათ შორის, გოჩა ჯღამარაული, ოთარ კორღალიძე და გიორგი ლევდარიანი.

დელეგატებმა ხმის დამთვლელი კომისია და სხვა საწესდებო საკითხები მალევე დაამტკიცეს, ამას დიდი დრო არ წაუღია. შემდეგ კი პრეზიდენტობის ორ კანდიდატს, ნოდარ ახალკაცსა და მამუკა კვარაცხელიას 15-15 წუთი მიეცათ საპროგრამო მოხსენებისთვის.

კვარაცხელია სულ ოთხი-ხუთი წუთით შემოიფარგლა და დარბაზი დატოვა, სპექტაკლის ნახვის ხასიათზე არ ვარო. კვარაცხელიამ თავისი მოხსენება ბრუნო ვოლფისბერგის გასაგონად გააკეთა...

„მთელ საქართველოს ვულოცავ ამაღლების დღესასწაულს და მინდა, რომ ამ დარბაზიდან ამაღლებული გრძნობით გავიდეთ, მაგრამ... ეს არაა ყრილობა, ესაა შოუ. მე დემონსტრაციულად ვტოვებ დარბაზს, თუმც კანდიდატურას არ ვხსნი. ჩემი და ნემსაძის მხარდამჭერებს მოგიწოდებთ, შოუს საყურებლად დროს ნუ დაკარგავთ და დარბაზიდან გავიდეთ. და სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ დელეგატებზე ზეწოლა არ ხდება".

წინასწარ წაგებულ პრეზიდენტობის კანდიდატს დარბაზიდან ხუთი-ექვსი მხარდამჭერი გაჰყვა. ორიოდ წუთში ნემსაძის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი აქტიური წევრი გია ფირცხალავაც გავიდა „ბასას" დარბაზიდან.

ამის შემდეგ უკვე ფაქტობრივად პრეზიდენტმა ახალკაცმა წაიკითხა თავისი პროგრამა. მან აღნიშნა, 13-ში რომ არჩევნები წავაგე, მაშინაც ვთქვი, რომ ქართული ფეხბურთის სამსახურში ყოველთვის ვიდგებოდი.

„ქართული ფეხბურთი პირად ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენო. შესაძლოა, ვიღაცის აზრით არაპოპულარული ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ მე ჩემი ქვეყნის ფეხბურთის მსახური ვარ და ყველაფერს გავაკეთებ მისი წინსვლისთვის".

„ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ კი გაკვირვება გამოხატა, რა ზეწოლაზეა ლაპარაკი, თუ ასეთი რამ არსებობს, თქვენ დელეგატებმაო.

„ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თუ „ნასოკის" დარტყმა არ იცის, იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთში ვინმეზე ნაკლებად შეუძლია საქმის გაკეთება" — დაამატა კოკაიამ.

და არჩევნებიც დაიწყო, რომელიც ახალკაცმა 25:0 მოიგო. 27 დელეგატიდან ერთმა, პაატა ჩხეიძემ რეგისტრაცია არ გაიარა, ხოლო „ვიტ ჯორჯიას" გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ თავი შეიკავა. ანუ გამეორდა ორი წლის წინანდელი — ახალკაცის წინააღმდეგი არავინ წასულა.

ალმასკომის არჩევა-დამტკიცების დროც დადგა, რამაც საათზე მეტხანს გასტანა — საქმე ისაა, რომ 18 კანდიდატიდან 14 უნდა არჩეულიყო, მაგრამ პირველ ტურში 13-მა მოაგროვა საჭირო რაოდენობის ხმა, ერთი ვაკანსიისთვის კი მეორე ტური დაინიშნა. ალმასკომის წევრობაზე 20 კანდიდატურა იყო წარდგენილი, თუმც დილარ ხაბულიანმა და ნუგზარ ბექაურმა ბოლოს უარი თქვეს.

და, არჩეული ალმასკომის წევრთა სიაც:

გიორგი გაბაშვილი (25 ხმა), გრიგოლ ცაავა (25), ზურაბ ფოცხვერია (23), რევაზ არველაძე (24), ალექსანდრე აზვლედიანი (24), თენგიზ სულაქველიძე (24), გოგი ქავთარაძე (24), კობა სუბელიანი (23), ალექსანდრე თოფურია (21), მამუკა ვარდოსანიძე (21), ბუბა ტყავაძე (22), ვაჟა ციციშვილი (20), დავით სილაგაძე (13), დიმიტრი რამიშვილი (23). წესდების თანახმად, ნოდარ ახალკაცი ალმასკომის წევრი ავტომატურად გახდა.

მეორე ტური კი იმად დაინიშნა, რომ დავით სილაგაძემ პირველ ჯერზე ოდენ 9 ხმა მიიღო.

ალმასკომის მიღმა კი დარჩნენ სერგო კვარაცხელია, ვლადიმერ კაკაურიძე, მურად ანჯაფარიძე და ვალერი მანაგაძე.

მერე „ბასას" დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა, ნოდარ ახალკაცმა კი ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა:

— თავს უფლებას მივცემ და ილია ჭავჭავაძის სიტყვებს მოვიშველიებ: თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. მოდით, ყველამ ერთად ვირწმუნოთ ქართული ფეხბურთის წინსვლა.

**— რა ცვლილებებს განახორციელებთ ფედერაციაში?**

— გარკვეული ცვლილებები იქნება, თუმც ჩვენ არ ვარღვევთ პრინციპს „ჩვენ ერთი გუნდი ვართ", დაწყებულ სამუშაოებს გავაგრძელებთ.

**— პრეზიდენტობის კანდიდატურის წარდგენაზე გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ?**

— საერთოდ, მე ყველა გადაწყვეტილებას ავტონომიურად ვიღებ.

**— როგორ ფიქრობთ, გიორგი ნემსაძემ რატომ თქვა უარი დღევანდელ არჩევნებში მონაწილეობაზე?**

— სჯობს, ეს გიორგის ჰკითხოთ.

**— მასთან ითანამშრომლებდით?**

— არაერთხელ მითქვამს, რომ ვინც ფეხბურთთან პირნათელია, ყველასთან ვითანამშრომლებ. თუ პიროვნებას სურს და შეუძლია საქმის კეთება, ქართული ფეხბურთის სამსახურში უნდა იყოს. აქვე ვიტყვი, რომ ფედერაციის გენერალური მდივანი და ვიცე-პრეზიდენტებიც უცვლელად დარჩებიან თანამდებობაზე.

**ილია ნანოგაშვილი**





### შვედეთი

ალსვენსკა
VII ტური
ტრელებორგი 1:2 ელფსბორგი
სუპერეტა
VI ტური
იოსტერსი 0:1 ნორჩიოპინგი
თასი
1/16 ფინალი
ძვიდინგი 1:2 (დ.დ.) ჰეკენი
გეფლე 5:3 (პენ) იურგორდენი
ჰალმსტადი 1:3 ბრომაპოიკარნა
ლინგბიუ 1:6 გიოტებორგი
იუტსიკტენსი 0:4 ჰელსინგბორგი

### ავსტრია

ბუნდესლიგა
XXXV ტური
ალტახი 3:2 მატერსბურგი
ტიროლი 0:2 ზალცბურგი
რაპიდი 2:0 პაშინგი
რიდი 1:0 აუსტრია
შტურმი 1:0 გრაცერი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
V ტური
პიკ 2:2 მარიეჰამნი
ინტერი 1:1 ჰონკა

### იტალია

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი
ინტერი 2:1 რომა (2:6)

### ჰოლანდია

უეფას თასის პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი
უტრეხტი 0:2 გრონინგენი
ინტერტოტოს თასი
პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი
ვიტესი 1:0 ნაიმეგენი
გადასასვლელი
პლეი ოფი. IV ტური
დორდრეხტი 0:3 ვალვაიკი
ვენლო 1:0 დენ ბოსხი

### ჩეხეთი

თასი
ნახევარფინალი
ზლინი 1:2 სპარტა

### დანია

თასი
ფინალი
კოპენჰაგენი 1:2 ოდენსე


იყიდება
6 000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 893 42-74-94

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 38 11 14, 877 54 55 00; Fax: 94 33 80

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 25 ტური

ჩიხურა 0:5 დინამო
ოლიმპი 0:0 ამერი
ბათუმი 1:0 ბორჯომი
ვიტ ჯორჯია 1:1 დილა
მერანი 2:0 ტორპედო
ლოკომოტივი 3:1 სიონი
ზესტაფონი 7:0 კახეთი

**ოცდამეექვსე ტური**

20 მაისი, კვირა
დინამო – ბათუმი
ტორპედო – ოლიმპი
ბორჯომი – ზესტაფონი
კახეთი – ლოკომოტივი
სიონი – მერანი
ამერი – ვიტ ჯორჯია
დილა – ჩიხურა

## ბოლო-ბოლო, ბოლოს ხომ იქნება ბოლო

ბოლოსწინა ტურმა სატურნირო ცხრილში ბევრი ვერაფერი შეცვალა. ლიდერს და ლიდერებს პოზიციები არ დაუკარგავთ და არც „ჩიხურასა" და „მერანს" შორის გარკვეულა, პლეიაუტში პირველი ლიგის მესამეადგილოსანს რომელი გაეჯიბრება.

ტურის მთავარი მატჩი, ცხადია, რუსთავში იყო. ლიდერი „ოლიმპი" მესამეობისთვის მებრძოლ „ამერს" მასპინძლობდა და რომ წაეგო, ჩემპიონობასაც ალბათ „დინამოს" გადაულოცავდა. მატჩი მშვიდობიანი ანგარიშით კი დამთავრდა, მაგრამ მოედანზე და მის მიღმაც მაგარი ამბები მოხდა. „ოლიმპმა" ფრე ითამაშა, რაც ამ გუნდისთვის გამარჯვების ტოლფასი იყო — ბოლო ტურში ქუთაისში სტუმრობა უწევს და სასწაულზე მეტი უნდა მოხდეს, რევაზ ძოძუაშვილმა და მისმა გუნდმა ჩემპიონობა სწორედ ქუთაისში დაკარგონ.

ეს ტური ერთი რეკორდითაც გამოირჩა... „ზესტაფონის" ვეტერანმა ფორვარდმა ზურაბ იონანიძემ ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში 201-ე გოლი გაიტანა და 200-გოლიან ზღვარს პირველმა გადააბიჯა. თავისი გაიტანა ჩემპიონატის მთავარმეგოლე სანდრო იაშვილმაც, ხოლო „შალკედან" დაბრუნებულმა 16 წლის ლევან ყენიამ „სიონს" ჯარიმიდან ისეთი შეუგდო, თქვენი მოწონებული...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 25 | 18 | 6 | 1 | 53:7 | 60 |
| დინამო | 25 | 19 | 2 | 4 | 53:17 | 59 |
| ამერი | 25 | 16 | 6 | 3 | 50:14 | 54 |
| ზესტაფონი | 25 | 15 | 9 | 1 | 52:10 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 9 | 4 | 40:25 | 45 |
| სიონი | 25 | 11 | 4 | 10 | 28:23 | 37 |
| ტორპედო | 25 | 9 | 4 | 12 | 22:31 | 31 |
| ბათუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 25:26 | 30 |
| ბორჯომი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:33 | 30 |
| ლოკომოტივი | 25 | 7 | 6 | 12 | 20:33 | 27 |
| მერანი | 25 | 5 | 8 | 12 | 17:41 | 23 |
| ჩიხურა | 25 | 5 | 6 | 14 | 13:41 | 21 |
| დილა | 25 | 2 | 6 | 17 | 16:56 | 12 |
| კახეთი | 25 | 0 | 2 | 23 | 20:81 | 2 |

## იონას გზა იონანიძის კლუბამდე



**ზურაბ იონანიძეს** საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 201 გოლი გაუტანია და ეს ძალიანაც ბევრისმეტყველია თუნდაც იმიტომ, რომ ამ საქმეში იონას ახლო-მახლოც კი ვერავინ ტრიალებს.

36 წლის იონანიძე პირველივე ეროვნული ჩემპიონატიდან გოლაობს: 1990 წელს წყალტუბოს „სამგურალში" თამაშობდა და სეზონში ერთი გოლი შეაგდო, მაგრამ მერე ნელ-ნელა აკრიფა და მეტოქეთა რისხვად იქცა. ზურაბმა პირველად 1995-96 წლების სეზონში გადალახა 20-გოლიანი ზღვარი, როცა „სამტრედიაში" 23 ბურთი შეაგდო 15 თამაშში.

საქართველოს ჩემპიონატს შეჩვეულ იონანიძეს ოთხ უცხოურ გუნდში უთამაშია — სოჭის „ჟემჩუჟინაში", ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში", სარატოვის „სოკოლში" და სიმფეროპოლის „ტავრიაში", თუმც მაინცდამაინც არ გამოუჩენია თავი — სულ 15-ჯერ გაიტანა.

იონა 2004 წელს დაბრუნდა იქ, სადაც წყალში თევზივით გრძნობს თავს — იმერეთში, ოღონდ ამჯერად არა „ტორპედოში", არამედ „ზესტაფონში". და მას მერე იონას გარეშე „ზესტაფონი" წარმოუდგენელია.

იონანიძის ამ 201 გოლში ერთი ისიცაა, რომელიც შარშან ტორპედოელმა დავით გამეზარდაშვილმა მისი დარტყმის მერე ჩაჭრა საკუთარ კარში და საბოლოოდ ეროვნულის მთავარმეგოლეს მიაკუთვნეს.



## MY GAME IS NOT FAIR PLAY

„ესაა თქვენი მეგობრობა და ახლობლობა? — ეს იყო პირველი, რაც „ოლიმპი" — „ამერის" 0:0 დასრულებული მატჩის შემდეგ მიაძახა მასპინძელთა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა თავის ამერელ კოლეგა გიორგი ჩიხრაძეს. ჩიხრაძემ „შეტევა" ტაქტიანი პასუხით მოიგერია, შედეგით თუ „ამერის" ბრძოლით გაღიზიანებული რუსთაველთა მწვრთნელი კი სწრაფი ნაბიჯით გასახდელებისკენ გაეშურა. სწორედ გასახდელებისკენ გზაზე ერთ-ორ წუთში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. „ოლიმპთან" დაახლოებულ ერთ-ერთ პიროვნებას „ამერის" ფეხბურთელისთვის უთქვამს, მართლები არ ხართ, ეს თამაში უნდა დაგვეთმოთო. ეს სიტყვები კი „ამერის" თავკაცს გაუგია და დასაბმელიც გამხდარა, ჩიხრაძეს თითქმის ნახევარი გუნდი აკავებდა...

რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი, ვერც ჩვენ გაგვიგია. ვერც ის გაგვიგია, როდის უნდა ჩაკვდეს ერთხელ და სამუდამოდ ეს აღებ-მიცემობის ჟინი.



**ყველა** ვაღიარებთ, რომ ფეირ პლეის, ქართულად კი სამართლიანი თამაშის წესების დაცვის მომხრენი ვართ. ამას რა ჯობს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ზოგი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ამ პრინციპს ძალიან იოლად ივიწყებს, აქაოდა, მიზანს მივაღწიოთ და სამართლიანობას მოუკვდა პატრონი.

რუსთავი, „ოლიმპი" — „ამერის" მატჩი. რუსთაველებმა თუ არ წააგეს, ჩემპიონობას პრაქტიკულად ინაღდებენ. 90 წუთი გაილია, მხოლოდ მსაჯის წამატებული 2 წუთი რჩება, გოლი ჯერ არ გასულა. „ოლიმპს" მიზნის მიღწევამდე სწორედ ეს 2 წუთი აშორებს.

ამ დროს „ამერი" იერიშს იწყებს და მასპინძელთა საჯარიმოს უახლოვდება. ალბათობა, რომ ამერელები ამ შეტევით გოლს გამორჩებიან, ძალიან მცირეა, მაგრამ „ოლიმპი" მაინც მაქსიმალურად იზღვევს თავს და შედეგის შესანარჩუნებლად– ვიღაც ლონიერი დარტყმით მოედანზე მეორე ბურთს აგდებს — მსაჯს თამაშის შესაჩერებლად სრულ უფლებამოსილებას აძლევს.

ვიღაცო, ვთქვით და, სამწუხაროდ, ბურთის მოედანზე შემგდების ვინაობის დასახელება არ შეგვიძლია — სათადარიგოთა სკამი გაუმჭვირვალე მასალით არის გადახურული და ტრიბუნიდან არ ჩანს, იქ კონკრეტულად ვინ რას აკეთებს. ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცით — ის ბურთი წამატებულ დროში „ამერის" შეტევისას ნაღდად „ოლიმპის" სათადარიგოთა სკამიდან ისროლეს.

იმედი გვაქვს, რაც ჩვენ და ათასობით მაყურებელმა დაინახა, არც იმათ დარჩებოდათ შეუმჩნეველი, ასეთ რამეებზე რეაგირება სამსახურებრივად რომ ევალებათ.




**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 18-იაშვილი | დინამო |
| 13-ზოზია | ზესტაფონი |
| 11-იონანიძე | ზესტაფონი |
| 10-გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ტატანაშვილი | ამერი |
| წინამძღვრიშვილი | ამერი |
| 9-დაბრიაშვილი | ამერი |
| გ. ჭელიძე | ზესტაფონი |
| შ. ჯიქია | ბორჯომი |
| ზვიადიშვილი | დინამო |
| 8-დვალიშვილი | ოლიმპი |



## ჭელიძის დიდი კუში

**ამ სეზონში** 10 ჰეთ-თრიქი შესრულდა, გუშინწინ კი პოკერიც გადაიშალა. „ზესტაფონის" 22 წლის ნახევარმცველი გიორგი ჭელიძე პირველია, ვინც ერთ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა — თანაც, „ჭელომ" ეს მონაგარი სულ რაღაც 28 წუთში ჩაატია.

რა ჯინი სჭირდა გიორგის კახელებისა, არ ვიცით, მაგრამ ნახევარმცველისთვის ოთხი გოლის გატანა პატარა საქმე არაა და, მოდით, ნუ დავაკნინებთ ამ მიღწევას იმის გამო, რომ თელაველები ბოლო ადგილზე არიან. ისე, ჭელიძე ალბათ ამ ოთხ გოლს სიამოვნებით გაცვლიდა „ამერთან" ერთ გატანილში — 26 მაისის საქართველოს თასის ფინალს ვგულისხმობთ.

ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ტექნიკურმა შუახაზელმა „კახეთთან" ორი საგოლე პასიც მიითვალა.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნემსები და ნემსაძე

## ზურაბ ხიზანიშვილი ტოპმიოლერის სიტყვას ელის



საქართველოს ნაკრებისა და ინგლისური „ბლექბერნის" მცველ ზურაბ ხიზანიშვილს თითქმის ორი თვეა, აღარ უთამაშია. გეხსომებათ, 24 მარტის შოტლანდია — საქართველოს შესარჩევი მატჩისას მას საზარდულის-ტრავმა გაუმიზეზდა და მას შემდეგ მკურნალობს. პრემიერლიგა „ბლექბერნმა" უხიზანიშვილოდ ჩაამთავრა, თავად ზურა კი სეზონის დასრულებისთანავე შინ დაბრუნდა და ჯერჯერობით შვებულებასაც აქ ატარებს. ჯერჯერობით რატომო, იკითხავთ და გეტყვით, რომ ზურაბ ხიზანიშვილს უთამაშებლობის მიუხედავად ლიტვასა და საფრანგეთთან თამაშის დიდი იმედი აქვს...

— ახლა უკვე კარგად ვარ. საზარდულის ტკივილებმა გამიარა და, როგორც გუნდის ექიმებმა მითხრეს, მთელი დატვირთვით ვარჯიში და, ცხადია, თამაშიც შემიძლია. ახლა კლაუს ტოპმიოლერზეა დამოკიდებული, გამომიძახებს თუ არა ეროვნულ გუნდში სათამაშოდ. იმედი მაქვს, ლიტვასთან და საფრანგეთთან მათამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ტრავმა უკვე საბოლოოდ მოვიშუშე და მთელი ძალით თამაში შემიძლია — გვითხრა ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელიც გუშინწინ რუსთავში „ოლიმპი" — „ამერის" მატჩს დაესწრო.

— საზარდულზე ოპერაცია მჭირდებაო, ამას წინათ გვითხარი...

— კი გითხარით, მაგრამ ინგლისელმა ექიმებმა ოპერაცია არ მირჩიეს და ისევ ნემსებით მკურნალობის კურსი დამინიშნეს.

— ნემსებით ხომ ადრეც მკურნალობდი?

— შოტლანდიასთან მატჩამდე სამი თვე ნემსებს ვიკეთებდი და ისე ვთამაშობდი, შოტლანდიის შემდეგაც, თბილისში ჩამოსვლამდე, ნემსებით ვმკურნალობდი. „ბლექბერნის" ექიმებს ვენდობი, მათი რჩევით ოპერაცია არ გავიკეთე და, მგონი სწორიც ვქენი, ოპერაცია ოპერაციაა, უნდა გაგჭრან და მერე ვინ იცის, ფორმას როდის აღიდგენ.

— და რა გარანტია გაქვს, რომ ნემსებით მკურნალობის შემდეგ საზარდული აღარ შეგაწუხებს?

— ექიმების თქმით, ასე სჯობდა.

— ინგლისში ჩემპიონატი დამთავრდა. „ბლექბერნის" უფროსობამ როგორ შეაფასა ეს სეზონი?

— ინგლისში „ბლექბერნი" საშუალო დონის გუნდად ითვლება და შედეგიც ამის შესაბამისი გვქონდა — მეათე ადგილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სეზონში უეფას თასზე ვითამაშეთ და იყო უამრავი ტრავმა, ძირითადი შემადგენლობის სამმა ფეხბურთელმა კი ფეხი მოიტეხა, წლევანდელი შედეგით უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. მომდევნო სეზონისთვის კი ხელმძღვანელობა გაძლიერებას გეგმავს და, როგორც ვიცი, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ლივერპულიდან" კრეიგ ბელამი დაგვიბრუნდება. სხვა ტრანსფერებიც არის დაგეგმილი, მაგრამ ამის თაობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— ისე, თბილისში ჩამოსულს ქართულ ფეხბურთში დიდი ამბები დაგხვდა...

— ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს გულისხმობ?

— დიახ.

— ნამდვილად არ ველოდი, საქმე ასე თუ გართულდებოდა. გია ნემსაძე ჯერ არ მინახავს, მაგრამ წარმომიდგენია, ამ ამბავს როგორ განიცდის.

**ქობა ინასარიძე**

# დემეტრაძემ ადრიანსე გაუშვა

— **ჩვენი** მწვრთნელი კო ადრიანსე მალე გუნდიდან წავაო — ამასწინათ გვითხრა ჰოლანდიელისგან „შერისხულმა" გიორგი დემეტრაძემ და ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ეს მოხდა — ადრიანსემ თანამემამულე თანაშემწეებიანად დატოვა დონეცკის „მეტალურგი". დონბასურმა კლუბმა შემცვლელი მალევე იპოვა, გუნდი უკრაინის ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ბელგიელ ჯოს დარდენს ჩააბარა. დარდენი, რომელსაც თავის დროზე ბელგიურ „სტანდარდსა" და ჰოლანდიურ პსვ-ში უმუშავია, „მეტალურგის" სარეზერვო გუნდს წვრთნიდა და დემეტრაძესაც ხშირად უწევდა მასთან თამაში. ბელგიელი კი დააწინაურეს, მაგრამ რა იქნება საქართველოს ნაკრების თავდამსხმელის თავს, ამას უკრაინის ჩემპიონატის დარჩენილი ტურები გვიჩვენებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# ვინ მოაწონებს თავს ლიუბინსკასს?

**2 ივნისს** საქართველოს ნაკრები ლიტვას ხვდება, 6-ში კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთს, იმავე დღეს ლიტველები მსოფლიო ჩემპიონ იტალიას ეთამაშებიან.

ლიტველებმა უკვე გამოაქვეყნეს იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ამ მატჩებისთვის მოემზადებიან. ბალტიისპირელთა მწვრთნელ ალგიმანტას ლიუბინსკასს იმ დღეებში ჰართსელები — ედგარას იანკაუსკასი და მარიუს ბარასა ვერ დაეხმარებიან. ლიუბინკასის განკარგულებაში 25 ფეხბურთელია, რომლებსაც ივნისამდე გაცხრილავს და იმ თვრამეტს შეარჩევს, ვისიც ყველაზე მეტად ეიმედება.

*მეკარეები:* *ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო, რუსეთი), მინდაუგას მალინაუსკასი (კაუნასი), პაულიუს გრიბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი);*

*მცველები:* *მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმშტადი, შვედეთი), ანდრიუს სკერლა (ვეტრა), გედიმინას პაულაუსკასი (კაუნასი), არუნას კლიმავიჩიუსი (დინამო, რუსეთი), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებიე, პოლონეთი), ირმანტას ზელმიკასი (ტავრია, უკრაინა);*

*ნახევარმცველები:* *შაულიუს მიკოლიუნასი, კესტუტის ივაშკევიჩიუსი (ჰართსი, შოტლანდია), დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი), დარიუს მიცეიკა, მინდაუგას კალონასი (მეტალურგსი, ლატვია), იგორის მორინასი (ჟალგირისი), ედგარას ჩესნაუსკისი (სატურნი, რუსეთი), ანდრიუს გედგაუდასი (ინტერი, აზერბაიჯანი), მანტას სავენასი (კაუნასი), მარის კიჟუსი (ლკს, პოლონეთი);*

*თავდამსხმელები:* *რიჩარდას ბენიუშისი (კაუნასი), ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ტომას რაძინევიჩიუსი (კლადნო, ჩეხეთი), ვიტალიუს კავალიაუსკასი (კაუნასი), ტადას ლაბუკასი (ოცელული, რუმინეთი).*

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი სწორედ ლიტვასთან გამართა და 2:2 ითამაშა. ოფიციალურ შეხვედრებში კი ორჯერ გვითამაშია — 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. მაშინ საქართველოს ნაკრებმა ლიტველებს ორივე მატჩი მოუგო — სტუმრად 4:0, შინ 2:0.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**






# ვაჟა შერიფში შერიფია

**მოლდოვის** ჩემპიონის, ტირასპოლის „შერიფის" კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაიხანგრძლივა. 36 წლის ქართველი 2009 წლის სეზონის ბოლომდე ითამაშებს მოლდოვურ გუნდში.

თარხნიშვილი „შერიფში" 1999 წელს გადავიდა და მას მერე გუნდში ყველაზე ტიტულოვან ფეხბურთელია და ლამის კლუბის სიმბოლოდაც იქცა. მოლდოვაში თამაშის რვა წლის მანძილზე თარხნიშვილს 15 ტიტული მოუგია — შვიდჯერ იჩემპიონა, ოთხჯერ ქვეყნის თასს, სამჯერ სუპერთასს და ერთხელაც თანამეგობრობის თასს დაეუფლა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## FIFA WORLD RANKING
Coca-Cola

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | *იტალია* | 1606 | | | | |
| 2 | 3 | ბრაზილია | 1538 | 11 | 11 | *უკრაინა* | 1040 |
| 3 | 2 | არგენტინა | 1520 | | | | |
| 4 | 4 | *საფრანგეთი* | 1507 | 14 | 19 | *შოტლანდია* | 953 |
| 5 | 5 | გერმანია | 1390 | | | | |
| 6 | 6 | ჰოლანდია | 1309 | 92 | 85 | საქართველო | 343 |
| 7 | 7 | პორტუგალია | 1300 | | | | |
| 8 | 8 | ინგლისი | 1278 | 92 | 89 | *ლიტვა* | 343 |
| 9 | 9 | ესპანეთი | 1238 | | | | |
| 10 | 10 | ჩეხეთი | 1170 | 185 | 179 | *ფარერები* | 21 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# ლიტვასთან ლიტვაში ჩასვლამდე ჩავედით

**საქართველოს** ნაკრებს ბოლო ერთი თვეში არც ოფიციალური მატჩი უთამაშია და არც ამხანაგური, თუმც ფიფას რეიტინგში შვიდი ადგილით ჩამოქვეითდა და ახლა 92-ე ადგილზეა.

ევროშესარჩევში ჩვენს თანაჯგუფელთაგან ბოლო თვეში შოტლანდიის პროგრესია გამოსარჩევი. სქოთები ხუთი საფეხურით დაწინაურდნენ და მათვის საუცხოო, მე-14 ადგილზე არიან. იტალიამ, საფრანგეთმა და უკრაინამ პოზიციები შეინარჩუნეს, სამი საფეხურით დაეშვა ლიტვა, ექვსით — ფარერები.

საინტერესო ის არის, რომ საქართველოს ნაკრები 2 ივნისს ლიტვას შეხვდება, ორივე გუნდს 343-343 ქულა აქვს და რეიტინგში 92-ე ადგილს იყოფს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ძამბროტა შავ-წითელ ქალაქში



ჯანლუკა ძამბროტა მილანში ნახეს...

ალბათ, გაგრძელების გარეშეც ხვდებით, რომ ხელახლა დაიწყო „მილანში“ მის შესაძლო გადასვლაზე ლაპარაკი.

ძამბროტა შარშან ზაფხულშიც ლამის გადავიდა „როსონერიში“, როცა „იუვენტუსს“ ტოვებდა, მაგრამ საბოლოოდ „ბარსელონა“ არჩია.

ახლახან ძამბროტას აგენტმა აღნიშნა, ჯანლუკა „ბარსელონასთან“ 2010 წლამდე გაფორმებულ კონტრაქტს პატივს სცემს და კატალონიაში თავს კარგად გრძნობს, მაგრამ თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდა და წასვლა გადაწყვიტა, „მილანში“ გადასვლას ისურვებსო...

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც „მილანს“ გაუთავებლად უკავშირებენ, ჯანლუიჯი ბუფონია. იტალიური პრესის ცნობით, ჯიჯი და მისი საცოლე ალიონა სერედოვა კომოს ტბასთან ვილას ყიდულობენ, რაც იმის მანიშნებელია, რომ ბუფონი „მილანში“ ან „ინტერში“ გადასვლას აპირებს.

„ბუფონი? არა, ჩვენ უკვე გვყავს ნელსონ დიდა, რომელსაც ბოლომდე ვენდობით“ — მოკლედ მოჭრა ადრიანო გალიანიმ.

„როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა კომენტარი პაოლო მალდინიზეც გააკეთა. მოგეხსენებათ, „მილანის“ ვეტერანმა კაპიტანმა აღნიშნა, რომ კარიერის დასრულებას ალბათ კიდევ ერთი წლით გადადებს და სეზონის ბოლოს კლუბთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს.

ადრიანო გალიანი: „რამდენს ნიშნავს მალდინი გუნდისთვის, ალბათ ახსნა არ სჭირდება. მისი ყოფნა კლუბს აძლიერებს. გვჯერა, პაოლოს კიდევ ერთი წელი შეუძლია თამაში და გვიხარია, რომ ამას აპირებს“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ნოველინოს ნოველა მორჩა



ვალტერ ნოველინო მომავალ სეზონში „სამპდორიას“ მწვრთნელი აღარ იქნება. იგი უკვე ხუთი წელია, გენუელთა თავკაცია, მაგრამ ამ სეზონში მისი მუშაობით ფანები და ხელმძღვანელობა კმაყოფილნი არ არიან.

ნოველინოს წარმომადგენელი დარიო კანოვი: „ვალტერი „სამპდორიაში“ ნამდვილად აღარ დარჩება. შესაძლოა, მან მომავალი სეზონიდან „პალერმო“ ჩაიბაროს, თუ სიცილიელებს „ატალანტას“ მთავარ მწვრთნელ სტეფანო კოლანტუონოსთან არაფერი გამოუვათ. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით“.

„პალერმოს“ პრეზიდენტ მურიციო ძამპარინისა და ნოველინოს ერთად უკვე უმუშავიათ, როცა ძამპარინი „ვენეციას“ მმართველი გახლდათ, ხოლო ნოველინო — მწვრთნელი.

„სამპდორიას“ მომავალ თავკაცად კი ორ კანდიდატს ასახელებენ — „რეჯინას“ დამრიგებელ ვალტერ მაცარის და „პარმას“ მწვრთნელ კლაუდიო რანიერი.

**კოკი ძანძელაძე**

# თუნჯაი შანლის შანსი: რეალი!



ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურია დარჩენილი და მადრიდის „რეალიც“ ოქროსთვის იბრძვის, თუმც „სამეფო თეთრების“ თავკაცობას ეს ხელს არ უშლის, საახალსეზონო ტრანსფერებზე იფიქროს. უკვე რამდენიმე თვეა, პრეზიდენტ რამონ კალდერონის ემისრები ევროპულ გუნდებს უთვალთვალებენ...

შაბათს „რეალის“ ხალხი სტამბოლურ „ალი სამი იენის“ არენას მიაკითხავს, რათა იქაურ დერბის, „გალათასარაი“ — „ფენერბაჰჩეს“ დაესწროს. ესპანელთა თურქული ვიზიტი ფენერბაჰჩელი თუნჯაით დაინტერესებამ გამოიწვია.

თუნჯაი შანლი 25 წლის შემტევი ნახევარმცველია და თურქული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედად ითვლება. იგი ნაკრების წევრია და უკვე ხუთი სეზონია, „ფენერში“ თამაშობს.

თუნჯაის „ფენერბაჰჩესთან“ კონტრაქტი ივნისში უმთავრდება, თუმცა ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე ნაკლებად ფიქრობს, ახალ წინადადებას არ თანხმდება.

„რეალი“ კი თურქის შეძენაზე, როგორც ჩანს, სერიოზულად ფიქრობს, მაგრამ იგივე სურს ლონდონის „არსენალსაც“. ეგაა, ინგლისელები სტამბოლელებს ვერ უთანხმდებიან.

თუნჯაის სხვა ვარიანტებიც აქვს: ესპანური „ვილიარეალი“ და ბერძნული „ოლიმპიაკოსი“.

**ლადო ხომერიკი**

## დაიჭირეს და გაუშვეს

„მანჩესტერ სიტიდან“ გაძევებული ჯოი ბარტონი დააპატიმრეს და 11 ივლისამდე თავდებით გაუშვეს. ბარტონმა ამას წინათ ვარჯიშზე თანაგუნდელი უსმან დაბო მიბეგვა და ამიტომ გააგდეს გუნდიდან, ნაცემმა კი იჩივლა და ზაფხულში სასამართლო შედგება.

ბარტონი კი პრემიერლიგიდან წასვლაზე ფიქრობს, სადაც მუდამ შარშია გახვეული. მას „რომა“, „ატლეტიკო“ და „ჰამბურგი“ ეპატიჟებიან.

## ჯერ ფული და მერეც ფული

მიუნხენის „ბაიერნი“ და „მანჩესტერი“ ოუენ ჰარგრივსის გაჭიანურებულ ტრანსფერზე მორიგდნენ — წერს „დეილი სტარი“. ინგლისური კლუბი ნახევარმცველში 18 მილიონ გირვანქას გადაიხდის, მერე კი „ბაიერნი“ დამატებით კიდევ მიიღებს ფულს, თუ „მანჩესტერი“ ჩემპიონი გახდება.

## ჰიცფელდის ბოლო

გერმანული „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა, რომ კარიერას 2008 წლის ივნისში დაასრულებს, როცა კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდება.

„მუშაობის გაგრძელების სურვილი აღარ მაქვს“ — თქვა მან.

## ვიდუკა სოლიდურს ეძებს

„მიდლსბროსთან“ კონტრაქტდასრულებული მარკ ვიდუკას გადაბირება „მანჩესტერს“ და „ნიუკასლს“ უნდათ. კლუბმა მას ხელშეკრულების ორი წლით გახანგრძლივება და კვირაში 40 ათასი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ ვიდუკას უფრო სოლიდურ გუნდში გადასვლა სურს.

## ფასდაკლება მილიტოზე

ესპანური „ას“-ის ცნობით, „სარაგოსას“ მცველი გაბრიელ მილიტო „ლივერპულში“ გადადის. კლუბის პრეზიდენტი აგიპატო იგლესიასი არგენტინელის სანაცვლოდ 20 მილიონ გირვანქას ითხოვდა, ამ უქმეებზე „ვალენსიასთან“ წაგებამ კი „სარაგოსა“ მეხუთე ადგილზე დატოვა და მილიტოს ფასმაც იკლო.

## თოფიდან ცხრა გავარდება

ლონდონის „არსენალს“ დაბერტყავენ და ცხრა ფეხბურთელს ტრანსფერზე დააყენებენ. პირველ რიგში შვედ ფრედი ლიუნგბერგს გაუშვებენ, რომელმაც 11 სეზონი შეალია „მეთოფეებს“. ხოსე ანტონიო რეიესს „რეალიდან“ აღარ დააბრუნებენ და მის ნაცვლად ნათხოვარ ჟულიო ბაპტისტასაც მოუწევს წასვლა. გასაყიდთა სიაში არიან: მეთიუ ფლამინი, მანუელ ალმუნია, ფილიპ სენდეროსი, ჟერემი ალიადიერი, ალექსანდრ სონგი და კერი ჯილბერტი. 19 წლის დანიელი ფორვარდი ნიკლას ბენდტნერი კი, რომელიც „ბირმინგემშია“ განათხოვრებული, „არსენალთან“ კონტრაქტს ხუთი წლით გაახანგრძლივებს.

## დოილის ნიუკასლი

„რედინგისა“ და ირლანდიის ნაკრების ფორვარდი კევინ დოილი, შესაძლოა, „ნიუკასლში“ გადავიდეს. „კაჭკაჭების“ ახალი მწვრთნელი სემ ალარდაისი შემადგენლობის გაძლიერებას ეშურება. მას სოლ კემპბელის, სემი ჰიიპიას და ლოიდ სემუელის ყიდვაც უნდა.

## შავ-ლურჯი ჰონდურასელი

„ტუტოსპორტის“ ცნობით, „ინტერი“ „კალიარის“ მოურიგდა და დავიდ სუაზო „შავ-ლურჯ[illegible]“ მაისურაში გამოეწყობა. ჰონდურასელი ფორვარდის სანაცვლოდ მილანური კლუბი 13 მილიონ ევროს გადაიხდის.

## მატერაციით ამაყი მორატი

მასიმო მორატი არ აპირებს მარკო მატერაცის გაყიდვას, რომელსაც „ბარსელონა“ ეპატიჟება.

„ცხადია, მატერაცი ბევრ კლუბს სურს, მაგრამ ის არსად წავა“ — მოკლედ მოჭრა მორატიმ, ვისაც გუშინწინ 62 წელი შეუსრულდა.

**გაჟა ხუციშვილი**

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. V ტური

ოულუ 2:0 ტამპერე
იარო 0:0 კტპ
ჰაკა 1:0 ვაასა
ტურკუ 3:1 ლაჰტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| ტამპერე | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 10 |
| ტურკუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| ოულუ | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| მიუპა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| კტპ | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ჰიკ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ლაჰტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| იარო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ინტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| ჰონკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ვიკინგიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| მარიეჰამნი | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| ვაასა | 5 | 0 | 3 | 2 | 2:8 | 3 |

## აშშ

MLS. გადადებული მატჩი

ტორონტო 1:0 ჰიუსტონი

## შვეიცარია

სუპერლიგა
XXXIV ტური

აარაუ 0:0 გრასჰოპერი
ბაზელი 2:0 სიონი
სენტ გალენი 1:1 შაფჰაუზენი
თუნი 0:1 იანგ ბოისი
ციურიხი 2:0 ლუცერნი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 34 | 21 | 6 | 7 | 62:30 | 69 |
| ბაზელი | 34 | 20 | 8 | 6 | 72:40 | 68 |
| იანგ ბოისი | 34 | 17 | 8 | 9 | 50:37 | 59 |
| სიონი | 34 | 15 | 9 | 10 | 52:42 | 54 |
| სენტ გალენი | 34 | 14 | 12 | 8 | 46:40 | 54 |
| გრასჰოპერი | 34 | 13 | 11 | 10 | 54:36 | 50 |
| ლუცერნი | 34 | 8 | 9 | 17 | 31:53 | 33 |
| თუნი | 34 | 8 | 7 | 19 | 25:58 | 31 |
| შაფჰაუზენი | 34 | 4 | 13 | 17 | 27:54 | 25 |
| აარაუ | 34 | 5 | 7 | 22 | 25:54 | 22 |

## ნორვეგია

ტიპელიგა. VII ტური

ბრანი 2:2 ფრედრიკსტადი
სტაბეკი 1:0 ოდ გრენლანდი
სტრიომსგოდსეტი 0:4 ალესუნდი
ტრომსიო 2:1 ლილესტრიომი
ვოლერენგა 2:0 სანდეფიორდი
ვიკინგი 4:2 ლინი
რუსენბორგი 4:1 სტარტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილესტრიომი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 16 |
| ბრანი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:11 | 14 |
| ტრომსიო | 7 | 4 | 1 | 2 | 13:9 | 13 |
| სტაბეკი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:6 | 12 |
| რუსენბორგი | 7 | 3 | 1 | 3 | 15:11 | 10 |
| სტარტი | 7 | 2 | 4 | 1 | 11:11 | 10 |
| ვიკინგი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:11 | 9 |
| სტრიომსგოდსეტი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:11 | 9 |
| ლინი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:12 | 8 |
| სანდეფიორდი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:10 | 8 |
| ვოლერენგა | 7 | 2 | 2 | 3 | 6:8 | 8 |
| ფრედრიკსტადი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:15 | 8 |
| ალესუნდი | 7 | 1 | 2 | 4 | 10:16 | 5 |
| ოდ გრენლანდი | 7 | 1 | 0 | 6 | 6:10 | 3 |

## Copa Toyota Libertadores '2007

ლიბერტადორესის თასი 2007

1/4 ფინალი. პირველი მატჩები

დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი) 2:0 გრემიო (ბრაზილია)
1:0 სორონდო (1), 2:0 გ. მარტინესი (42)
ამერიკა (მექსიკა) 0:0 სანტოსი (ბრაზილია)

ს.კ. ლოკომოტივი ახორციელებს ს.კ. ბარსელონას ტალანტების მოძიების პროგრამას და ატარებს სელექციას 1995-2001 წწ დაბადებულ ბავშვებში. რეგისტრაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ 14 მაისიდან 27 მაისამდე 10.00-15.00 სთ. მ. მესხის სახელობის სტადიონზე. ჭავჭავაძის გამზ. 74. საკონტაქტო ტელეფონი 23-04-58. თან იქონიეთ ბავშვის დაბადების მოწმობა და ფოტოსურათი, მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

# უეფას თასი 2006-2007 ფინალი

# შეუძლებელი შესაძლებელია



გლაზგო. „ჰემპდენ პარკი". 50 670 მაყურებელი

**ესპანიოლი (ესპანეთი) 2:2დ.დ. (პენ.1:3, 1:1) სევილია (ესპანეთი)**

0:1 ადრიანუ (18), 1:1 რიერა (28), 1:2 კანუტი (105), 2:2 ჟონატასი (116)

*პენალტების სერია:*

*0:1 კანუტი, 0:1 ლუის გარსია (მეკარე), 0:2 დრაგუტინოვიჩი, 1:2 პანდიანი, 1:2 დანი ალვეში (ააცილა), 1:2 ჟონატასი (მეკარე), 1:3 პუერტა, 1:3 ტორეხონი (მეკარე)*

**ესპანიოლი:** ირაისოსი, დავიდ გარსია, ტორეხონი, ხარკე, საბალეტა, მ. ურტადო, დე ლა პენია (ჟონატასი 87), ლუის გარსია, რიერა, რუფეტე (პანდიანი 57), ტამუდო (ლაკრუსი 72)

**მწვრთნელი:** ერნესტო ვალვერდე

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, ხავი ნავარო, დრაგუტინოვიჩი, პუერტა, მარტი, მარესკა (ხესუს ნავასი 46), პოულსენი, ადრიანუ (რენატო 76), ლუიშ ფაბიანო (კერჟაკოვი 63), კანუტი

**მწვრთნელი:** ხუანდე რამოსი

**გაფრთხილება:** ურტადო (12), ფაბიანო (61), ურტადო (68), კანუტი (82), პუერტა (115)

**გაძევება:** ურტადო (68)

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**„ჩვენ** გვაქვს სრული უფლება, ვთქვათ, რომ ეს უბრწყინვალესი მომენტია კლუბის ისტორიაში და ოქროს ასოებით ჩაიწერება. ზედიზედ ორჯერ მოვიგეთ უეფას თასი და ამ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატის და თასის მოგებაც შეგვიძლია. „სევილიამ" იცის, როგორ მიაღწიოს გამარჯვებას. პრიმერადივიზიონშიც თუ ვიმარჯვებთ, ალალი იქნება ჩვენზე, რადგან ეს გუნდი სხვებზე მეტად იმსახურებს პირველობას" — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ.

ანდრეს პალოპმა ოთხ წელიწადში მესამედ მოიგო უეფას თასი. პირველად 2004-ში, როცა „ვალენსიაში" სანტიაგო კანისარესის შემცვლელი იყო, მეორედ და მესამედ კი — „სევილიაში".

მესამე განსაკუთრებულია, რადგან დონეცკის „შახტარს" გაუტანა თავით ბოლო წუთზე და „სევილიამ" დამატებულ დროში იმარჯვა. გუშინწინდელ ფინალში კი საგოლე პასიც გააკეთა და სამი პენალტი მოიგერია.

„პალოპი შეუდარებელი გახლდათ — თქვა ლუიშ ფაბიანომ — პირველივე პენალტი რომ აიღო, საქმე გაგვიადვილა. ბევრი მომენტი გვქონდა და ძირითად დროში შეგვეძლო მოგება, მაგრამ ამ მატჩს სხვანაირი დასასრული ეწერა".

ფრედერიკ კანუტმა შარშანდელ ფინალშიც გაიტანა და წლეულსაც. მალიდან ევროპაში ჩამოსული კაცისთვის უეფას თასის ზედიზედ ორჯერ მოგება უდიდესი მიღწევაა.

„მგონი, რაღაც შეუძლებელი შევძელით — განაცხადა კანუტმა — მსგავსი რამ მხოლოდ მადრიდის „რეალს" მოუხერხებია და ჩვენ გავიმეორეთ. სირთულით ამ ფინალის შარშანდელთან შედარებაც კი არ შეიძლება. თასის მოსაგებად ბევრი ოფლი ვღვარეთ. ახლა უფრო ბედნიერები ვართ, რადგან მიღწეულის შენარჩუნება ძალიან ძნელია".

„ესპანიოლმა", ფინალის ჩათვლით, 15 მატჩი ითამაშა და ერთადერთი, მთავარი, წააგო პენალტებით. სწორედ ასე, პენალტებით დამარცხდა 1988 წელს უეფას თასის ფინალშიც, რომელშიც გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელ ერნესტო ვალვერდეს უთამაშია.

„მაინც თავაწეულები მივდივართ სახლში — თქვა ვალვერდემ — მეორედ რომ გავათანაბრეთ, ვიფიქრე, რომ მოგებაც შეგვეძლო, რადგან ბიჭები ძალიან მონდომებულნი იყვნენ. თუ წაგება გვეწერა, სწორედ ასეთ წაგებას ვისურვებდი. ურტადოს გაძევება, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი ფაქტორი იყო. თერთმეტ კაცს მოგების მეტი შანსი ექნებოდა. მარცხის მიუხედავად, ჩემი ფეხბურთელები თავს ჩემპიონებად თვლიან".

„გულიანად ვიბრძოლეთ და ვამაყობ თანაგუნდელებით — განაცხადა „ესპანიოლის" მეკარე გორკა ირაისოსმა — „სევილიას" ათი კაცითაც კი ტოლი არ დავუდეთ და გათანაბრება მოვახერხეთ".

რაულ ტამუდო: „ძალიან მწყდება გული, რადგან ჩვენი ფანები ამ თასს იმსახურებდნენ. მადლობა უნდა გადავუხადოთ მათ მხარდაჭერისთვის. ქომაგების გარეშე ფინალამდე ვერ მოვიდოდით".

„ცხოვრება ულმობელია — დაიჩივლა „ესპანიოლის" პრეზიდენტმა დანიელ სანჩეს ლიბრემ — წაგებას არ ვიმსახურებდით. მატჩის ბოლოს „სევილიამ" გვაჯობა, როცა კაცნაკლულნი დავრჩით, მანამდე კი ჩვენ აშკარად მათზე უკეთ ვითამაშეთ".

ესპანური კლუბების ყოჩაღობამ უეფას თასზე უეფას კოეფიციენტების ცხრილში, ქვეყანას სარეკორდო, 19 ქულა მოუტანა. წინა რეკორდიც ესპანელებს ეკუთვნით — 1999-2000 წლებში 18,571 ქულა მოაგროვეს. ცხრილში მეორე ინგლისია, მესამე კი იტალია...

**ვაჟა ხუციშვილი**



## უეფას თასის ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1958 | ლონდონი (ინგლისი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2:2, 0:6 |
| 1960 | ბარსელონა (ესპანეთი) — ბირმინგემი (ინგლისი) | 1:1, 4:1 |
| 1961 | რომა (იტალია) — ბირმინგემი (ინგლისი) | 2:0, 2:2 |
| 1962 | ვალენსია (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 6:2, 1:1 |
| 1963 | ვალენსია (ესპანეთი) — დინამო (იუგოსლავია) | 2:0, 2:1 |
| 1964 | სარაგოსა (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | 2:1 |
| 1965 | ფერენცვაროში (უნგრეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 1966 | ბარსელონა (ესპანეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) | 0:1, 4:2 |
| 1967 | დინამო (იუგოსლავია) — ლიდსი (ინგლისი) | 2:0, 0:0 |
| 1968 | ლიდსი (ინგლისი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | 1:0, 0:0 |
| 1969 | ნიუკასლი (ინგლისი) — უიპეშტი (უნგრეთი) | 3:0, 3:2 |
| 1970 | ანდერლეხტი (ბელგია) — არსენალი (ინგლისი) | 3:1, 0:3 |
| 1971 | იუვენტუსი (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) | 2:2, 1:1 |
| 1972 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) — ტოტენჰემი (ინგლისი) | 1:2, 1:1 |
| 1973 | ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 3:0, 0:2 |
| 1974 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 2:2, 0:2 |
| 1975 | მიონხენგლადბახი (გფრ) — ტვენტე (ჰოლანდია) | 0:0, 5:1 |
| 1976 | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) | 3:2, 1:1 |
| 1977 | იუვენტუსი (იტალია) — ბილბაო (ესპანეთი) | 1:0, 1:2 |
| 1978 | ბასტია (საფრანგეთი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 0:0, 0:3 |
| 1979 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 1:1, 0:1 |
| 1980 | მიონხენგლადბახი (გფრ) — აინტრახტი (გფრ) | 3:2, 0:1 |
| 1981 | იფსვიჩი (ინგლისი) — ალკმაარი (ჰოლანდია) | 3:0, 2:4 |
| 1982 | გიოტებორგი (შვედეთი) — ჰამბურგი (გფრ) | 1:0, 3:0 |
| 1983 | ანდერლეხტი (ბელგია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0, 1:1 |
| 1984 | ანდერლეხტი (ბელგია) — ტოტენჰემი (ინგლისი) | 1:1, 1:1(პენ.3:4) |
| 1985 | ვიდეოტონი (უნგრეთი) — რეალი (ესპანეთი) | 0:3, 1:0 |
| 1986 | რეალი (ესპანეთი) — კიოლნი (გფრ) | 5:1, 0:2 |
| 1987 | გიოტებორგი (შვედეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) | 1:0, 1:1 |
| 1988 | ესპანიოლი (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გფრ) | 3:0, 0:3(პენ.2:3) |
| 1989 | ნაპოლი (იტალია) — შტუტგარტი (გფრ) | 2:1, 3:3 |
| 1990 | იუვენტუსი (იტალია) — ფიორენტინა (იტალია) | 3:1, 0:0 |
| 1991 | ინტერი (იტალია) — რომა (იტალია) | 2:0, 0:1 |
| 1992 | ტორინო (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 2:2, 0:0 |
| 1993 | დორტმუნდი (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:3, 0:3 |
| 1994 | ზალცბურგი (ავსტრია) — ინტერი (იტალია) | 0:1, 0:1 |
| 1995 | პარმა (იტალია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0, 1:1 |
| 1996 | ბაიერნი (გერმანია) — ბორდო (საფრანგეთი) | 2:0, 3:1 |
| 1997 | შალკე (გერმანია) — ინტერი (იტალია) | 1:0, 0:1(პენ.4:1) |
| 1998 | ინტერი (იტალია) — ლაციო (იტალია) | 3:0 |
| 1999 | პარმა (იტალია) — მარსელი (საფრანგეთი) | 3:0 |
| 2000 | გალათასარაი (თურქეთი) — არსენალი (ინგლისი) | 0:0(პენ.4:1) |
| 2001 | ლივერპული (ინგლისი) — ალავესი (ესპანეთი) | 5:4დ.დ.(4:4) |
| 2002 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — დორტმუნდი (გერმანია) | 3:2 |
| 2003 | პორტუ (პორტუგალია) — სელტიკი (შოტლანდია) | 3:2დ.დ.(2:2) |
| 2004 | ვალენსია (ესპანეთი) — მარსელი (საფრანგეთი) | 2:0 |
| 2005 | სპორტინგი (პორტუგალია) — ცსკა (რუსეთი) | 1:3 |
| 2006 | სევილია (ესპანეთი) — მიდლსბრო (ინგლისი) | 4:0 |
| 2007 | ესპანიოლი (ესპანეთი) — სევილია (ესპანეთი) | 2:2დ.დ.(პენ.1:3) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერიოზული ზეიმი

**გლაზგოში** ესპანური სალამო ანდალუზიელთა გამარჯვებით დასრულდა. ხუანდე რამოსის „სევილიამ" შარშან მოგებული თასი არ დათმო და „ჰემპდენ პარკზე" ერნესტო ვალვერდეს „ესპანიოლს" მოუგო.

ყველაფერი იყო „ჰემპდენზე", სილაღეც, დაძაბულობაც, გოლებიც, გულისშემძვრელი პენალტების სერიაც — სადაც ანდრეს პალოპმა სამი დარტყმა მოიგერია და უეფას თასი კვლავ ანდალუზიურ გუნდს დაუტოვა.

ვალენსიელი პალოპი ახლა „სევილიას" თითოეული გულშემატკივრისთვის რაღაც ზეციურ, მითიურ არსებად გადაიქცა, ხოლო „ესპანიოლმა", წაგების მიუხედავად, დაამტკიცა, რომ მისი ინჩასები მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ბრძოლისუნარიან და ღირსეულ გუნდს ქომაგობენ...



AFP

VIVA EL FUTBOL ESPANOL! — მოკლედ და შთამბეჭდავად შეაფასა თამაშის მეორე დღეს „მარკამ" ესპანური ფინალი.

ჩვენ კი ტრიუმფატორების, „სევილიას" მწვრთნელ ხუანდე რამოსისა და მეკარე ანდრეს პალოპის მატჩისშემდგომ ინტერვიუებს გთავაზობთ...

## ხუანდე რამოსი:

**— თქვენს გუნდს გამარჯვების მიღწევა უფრო ადრე, პენალტებამდეც შეეძლო, თუმცა ეს ვერ გააკეთა. მატჩის მსვლელობისას ხომ არ ყოფილა ეპიზოდი, როცა იფიქრეთ, რომ თასი ხელიდან გეცლებოდათ?**

— უამრავი შანსი გვქონდა, რათა მატჩის ბედი გადაგვეწყვიტა, თუმცა რატომღაც „ესპანიოლს" გოლის გატანის საშუალება მივეცით. პენალტების დროს კი ანდრეს პალოპი უფრო იღბლიანი აღმოჩნდა და ჯილდო ღირსეულად მოვიგეთ. „სევილიამ" მეტოქეზე ძლიერად ითამაშა.

**— მატჩი ბრწყინვალე გამოდგა, თუმცა გამარჯვებულის გამოსავლენად მაინც პენალტებამდე მივიდა საქმე...**

— „ესპანიოლი" ღირსეული მოწინააღმდეგეა, თუმცა მათ ურტადოს გაძევების შემდეგ კაცნაკლულად თამაში გაუჭირდათ. თამაში მართლაც დაძაბული, მაგრამ სანახაობრივად ძალიან საინტერესო გამოდგა. პენალტების სერია კი, მოგეხსენებათ, ლატარიასავითაა და ორივე გუნდის ფეხბურთელებს გოლის გატანის თანაბარი შანსები ეძლევათ.

**— ჩანდა, რომ „სევილია" თამაშს აკონტროლებდა — განსაკუთრებით, ურტადოს გაძევების შემდეგ...**

— კატალონიურ გუნდთან მოგება ადვილი არ ყოფილა. თუმცა ჩვენ „ჰემპდენ პარკზე" წინა სეზონში მიღებული გამოცდილება და არაჩვეულებრივი პალოპი დაგვეხმარა, რომელმაც პენალტებისას ძალიან გამოიჩინა თავი. ისე, გამარჯვებას პენალტებამდეც ვიმსახურებდით.

**— უეფას თასმა „სევილიას" ჯილდოებისადმი წყურვილი ცოტათი „უნდა შეუმსუბუქოს". თუმცა თქვენ პრიმერადივიზიონის ჩემპიონობისა და კოპა დელ რეის მოგების შანსებსაც ინარჩუნებთ...**

— ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი გუნდისთვის, რადგანაც ბიჭებს შეუძლიათ, სეზონი უკვე წარმატებულად ჩათვალონ — ოღონდ, ეს მოშვებას და დანარჩენი ტიტულების დავიწყებას არ ნიშნავს, უბრალოდ, ფეხბურთელები საკუთარი ძალებისადმი კიდევ უფრო მეტი რწმენით აღივსებიან და პრიმერას და სამეფო თასის გადამწყვეტ ბრძოლებამდე სულიერად დაისვენებენ... ვნახოთ, წლეულს „სევილია" სხვა ჯილდოების მოგებასაც თუ შესძლებს.

**— თქვენი შეგირდები ჩინებულ ფორმაში არიან. ხუანდე რამოსი საერთოდ ფინალებს არ აგებს — წინ კი ორი ფინალია დარჩენილი... ალბათ გუნდშიც დარჩებით და სუპერთასის მოგებასაც ეცდებით...**

— მთელი სევილიური ოჯახისთვის, იმ ხალხისთვის, ვისაც ჩვენზე გული შესტკივა, საუკეთესო დრო დადგა. იმედია, დარჩენილ ფინალებსაც დღევანდელივით მოვიგებთ. და სუპერთასზე გუნდს ვითომ რატომ არ უნდა ვუხემძღვანელო?

**— ამჟამინდელი ზეიმი „სევილიას" პრიმერაში დარჩენილ მატჩებზე ზეგავლენას მოახდენს?**

— ახლა უნდა ვიზეიმოთ, მაგრამ შემდეგ შრომაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რადგანაც ლა ლიგა გრძელდება და ესპანეთის ჩემპიონობაც ჩვენი უპირველესი მიზანია. ორი დღე გვაქვს, რათა „დეპორტივოსთან" მატჩისთვის მოვემზადოთ. ამ თამაშის მოგება გვსურს, მინდა, „სევილიამ" ტიტულის მოგების შესაძლებლობა არ დაკარგოს.

# მე რა შუაში ვარ? მიულოცეთ სევილიას!



AFP

## ანდრეს პალოპი:

**— საოცრად ითამაშეთ...**

— ძალიან ემოციური მატჩი იყო. ყველამ თავდადებით ვიბრძოლეთ, „სევილიაც" ძლიერი იყო, ესპანიოლიც" და მატჩიც სანახაობრივი გამოდგა. პენალტების სერიაში გამიმართლა — ძალიან ძნელია, მსგავსი რამ რომელიმე შეხვედრაში და მით უმეტეს ფინალში გააკეთო. რთული თამაში იყო, თუმცა ბოლოს მაინც ჩვენ მოვიგეთ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

**— არაქათგამოცლილები იქნებით...**

— სამ უმაღლეს დონის ტურნირში მონაწილეობა მართლაც დამღლელია. ძალების აღდგენისთვის პრაქტიკულად დრო აღარ გვქონდა და ეს ამ ფინალშიც დაგვეტყო. ჩვენი უპირატესობა ის იყო, რომ ნებისმიერ მატჩში მოგებისთვის ბოლომდე ვიბრძვით და მოედანზე ასი პროცენტით ვიხარჯებით. ახლა გამარჯვებას ვიზეიმებთ, თუმცა არავის ავიწყდება, რომ სეზონი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

**— საკუთარ თავს საამსეზონო უეფას თასის მთავარ გმირად თვლით?**

— არა. გუნდში თასს ყველანი ვიმსახურებთ. ყველამ ბოლომდე იომა გუნდის წარმატებისთვის. ფინალშიც და, საერთოდ, წლეულს უეფაზე ჩატარებულ ნებისმიერ შეხვედრაშიც „სევილიას" შემადგენლობას თავი არ დაუზოგავს და დღეს რომ ვზეიმობთ, ამაში წვლილი ყველას მიგვიძღვის — „სევილია" ღირსეული ჩემპიონია. მართალია, პენალტები გადამწყვეტი გამოდგა და იქ ჩემთვის სიზუსტეს არ უღალატია, მაგრამ „ჰემპდენზე" თამაშის გმირი მარტო მე კი არა, მთელი გუნდი იყო.

**— უეფას თასი თქვენია, მაგრამ სხვა ტიტულებიც გაქვთ მოსაგები...**

— იცით, რა არის თანამედროვე „სევილიას" საუკეთესო თვისება? ის, რომ მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება და უზარმაზარი სურვილი აქვს, დანარჩენი ჯილდოებიც თავისთვის დაიტოვოს. მეომრული ხასიათი ყველა ტურნირში ძალიან გვეხმარება. ფხიზლად უნდა ვიყოთ, ივნისში მშვენიერი შანსი გვეძლევა, „ჰემპდენზე" მოპოვებულ ჯილდოს სხვებიც შევმატოთ.

**— გლაზგოურ გამარჯვებას ვის უძღვნით?**

— ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს. ისინი „ჰემპდენ პარკის" ტრიბუნაზე ისხდნენ და საერთოდ, ყოველთვის მხარში მედგნენ. ასე რომ, გამარჯვებას ოჯახს ვუძღვნი...



# ჩვენ გველის ხმელთაშუა ზღვა და... ანჩელოტიმ ლივერპულს ხაზი გადაუსვა

**რაო?** „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის მონაწილე ინგლისურ გუნდთაგან უარესიაო?

„მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა:

„ტექნიკით მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლივერპულელები ნახევარფინალში გასულ სამ ინგლისურ გუნდს შორის ყველაზე სუსტები არიან, თუმცა ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ფინალის მეტოქედ მათ არ ავირჩევდი. მე „მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშს ვამჯობინებდი".

და აქ ანჩელოტიმ „მილანის" ფანებს ათენში მილანური საფეხბურთო ფესტივალის მოლოდინი არ ურჩია, თუმცა, მეორე მხრივ, მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი ორი წლის წინანდელი მარცხისთვის შურს იძიებს — გეხსომებათ, 2005 წელს, სტამბოლში, პირველი ტაიმის შემდეგ „მილანი" 3:0-ს იგებდა, საბოლოოდ კი, პენალტებში დამარცხდა.

„მიზეზი, თუ რატომ ვარ გამარჯვებაში დარწმუნებული, გახლავთ ის, როგორ ვეთამაშეთ ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს", გნებავთ, „ოლდ ტრაფორდზე" და გნებავთ, „სან სიროზე". ისე კი, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი და მანჩესტერელების დაპირისპირება ფინალს უფრო მოუხდებოდა. მანჩესტერელებს ტექნიკური გუნდი ჰყავთ, რომელიც ლამაზად თამაშობს და მეტოქესაც თამაშის საშუალებას აძლევს. არა მგონია, „ლივერპულმა" იგივე გააკეთოს".

შემდეგ ანჩელოტიმ თქვა, რომ „ლივერპულმა" რაფა ბენიტესის ხელმძღვანელობით ტრადიცია და ფესვები დაკარგა...

„მილანში მარად ნამდვილი იტალიური ხარისხის გუნდი გვეყოლება. მართალია, ჩვენ გვყავს ისეთი უცხოელები, კაკა და კლარენს ზეედორფი რომ არიან, მაგრამ გუნდში მთავარი გავლენა იტალიურია. იტალიურია ფილოსოფია და რწმენა. რაც შეეხება „ლივერპულს", მას ინგლისური დნმ აღარ აქვს. დღევანდელი „ლივერპული" უფრო ხმელთაშუა ზღვის სტილში მოთამაშე გუნდია, რაც მათი მწვრთნელიდან მოდის".

**ბაჩუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერიკ კანტონა: სხვისი დაცვით

ექვს ფრანგულ კლუბში რვაწლიანი სკანდალური კარიერის შემდეგ ერიკ კანტონა ინგლისურ „ლიდსში“ გადადის და 1992 წელს მასთან ერთად ჩემპიონი ხდება.

იმავე წლის შემდგომაზე 1,2 მილიონ გირვანქად „მანჩესტერში“ გადადის.

ხუთწლიანი მანჩესტერული კარიერის მანძილზე კანტონა ოთხჯერ ხდება ჩემპიონი და ორჯერ იგებს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასს.

ერთადერთი უჯილდოო სეზონი 1994-95 წლებია, როცა ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას იღებს „კრისტალ პალასის“ ფანის წიხლით ცემისთვის.

კანტონამ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ასე ახსნა ეს გახმაურებული შემთხვევა: თოლიები იმიტომ მიჰყვებიან სარდინებით დატვირთულ გემს, რომ იციან, მათ წყალში არავინ გადაყრის.

ის ფეხბურთს 1997 წელს, 30 წლისა გამოეთხოვა.

იმის შემდეგ მსახიობობს და პლაჟის ფეხბურთით ერთობა.

მოკლედ, თქვენს წინაშეა ლეგენდარული ფრანგი თავდამსხმელი ერიკ კანტონა...




## პლატინი თუ ზიდანი? მე!

**— ფეხბურთს 10 წლის წინათ გამოეთხოვე, მხოლოდ 30 წლისა. ფეხბურთის, შენი გუნდის და შენი ადგილის ნოსტალგია თუ გაქვს?**

— ხდება ხოლმე, მაგრამ ნოსტალგია სასიამოვნო შეიძლება იყოს. ბავშვობა, მუსიკა, რაღაცის სურნელი იწვევს ხოლმე ნოსტალგიას. ფეხბურთში ეს საერთო შეგრძნება შეიძლება იყოს, ვიდრე კონკრეტული. თუმცა, არსებობს კონკრეტულიც: გასახდელი, ნაცნობი მინდორი. ამასწინათ „ოლდ ტრაფორდზე“ მოვხვდი გალალებებზე და ყველაფერი გამახსენდა. თუმცა, ამის შესახებ გამუდმებით ვერ იფიქრებ. ცხოვრებაში სხვა რამეც ბევრია.

**— როგორ გახსოვს შენი ბოლო თამაში, 1997 წლის 11 მაისი?**

— ეს „ვესტ ჰემთან“ იყო. მაისურა გავუცვალე ვილაცას. მერე გაუყიდია. იმედი მაქვს, საქველმოქმედო მიზნებისთვის (იცინის).

**— რას გრძნობდი, მოედნიდან რომ გადიოდი?**

— არაფერს. იმიტომ, რომ წასვლა მინდოდა. მეყო და თან ვფიქრობდი, თუ დაბრუნება მომინდება, ორიოდ თვეს ვივარჯიშებ და დავბრუნდები-მეთქი. 30 წლისას ეს შეგიძლია. ამაზე ბევრს ვფიქრობდი. თუმცა, მერე მივხვდი, რომ რამდენიც არ უნდა მევარჯიშა, ველარ დავბრუნდებოდი.

**— რა არ გეყო?**

— ნაპერწკალი აღარ მქონდა. ფეხბურთი ჩემი ცხოვრება იყო, ჩემი ბავშვობის ვნება. ნაპერწკალი რომ ქრება, რაღა მოგინდება? ის კაცი არ ვარ, ახლო აღმოსავლეთში წავსულიყავი 300 მილიარდის საშოვნელად.

**— ის, რომ საფრანგეთის ნაკრებში აღარ მიგიწვიეს, იყო რაიმე ეს მიზეზი?**

— რომ მივეწვიე, მსოფლიოს ჩემპიონატის წინა წელს ნამდვილად არ დავანებებდი თავს. ანდა, „მანჩესტერს“ რომ ჩემპიონთა თასი მოეგო და ნახევარფინალში არ გავვარდნილიყავით, არ წავიდოდი.

**— მწვრთნელობაზე, ფეხბურთში დარჩენაზე თუ გიფიქრია?**

— რომ დავანებე, რახან ვფიქრობდი, მოთამაშედ დაბრუნება ყოველთვის შემეძლება-თქო, ძალიან მეხმარებოდა. ახლა ვფიქრობ, მწვრთნელად დავბრუნდები-თქო და ეს მეხმარება (იცინის). მაგრამ ხელს ის მიშლის, რომ ჩემთვის კარი ყოველთვის ღიაა. დაკეტილი რომ იყოს, შემოვამტვრევდი და შემოვიდოდი.

**— ნაპერწკალი რის გამო გაქრა: თამაშის თუ სხვა რამის?**

— სხვა რამე უფრო მეტი იყო. „მანჩესტერი“ ძალიან კომერციული კლუბია. იქ მარკეტინგს დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ ისინი ითხოვენ, რომ რაღაცაში გადაგიღონ, ინტერვიუ მისცე, ფოტოები ჩაგიჩხაკუნონ, წიგნები წერო.. იმის გამო, რომ თავი დამეცვა, ჩემი სახის ყველგან ტრიალისგან, საგანგებო კონტრაქტები დავდე კლუბთან — სულ ექსკლუზივები მივეცი ჩემს ფოტოებზე. მათ ამას დიდი ყურადღება არ მიაქციეს. ვთხოვე ალექს ფერგიუსონს და თავმჯდომარე მარტინ ედვარდსს, ყურადღება მიექციათ იმისთვის, რომ წარამარა ირღვეოდა ეს ექსკლუზივი.

ერთ დილით, თამაშის წინ საუზმეზე შევედი და გაზეთის პირველ გვერდზე ჩემი ფოტო დავინახე. ეს ბოლო წვეთი იყო. ჩემი ფოტოები მხოლოდ „მანჩესტერის“ ნებართვით უნდა დაბეჭდილიყო. ზოგს უხარია პირველ გვერდზე ყოფნა. ამაყობს კიდეც. მე კი მანგრევს, განსაკუთრებით, როცა თამაშზე გავდივარ. უკვე ამაზე ვფიქრობ და არა თამაშზე.

**— თუ იჩივლე?**

— რა თქმა უნდა. და მოვიგე!

**— არ გინდოდა, პროდუქტი ყოფილიყავი?**

— არა. მე ვუთხარი, ყველაფერი წაელოთ. ეს ამბავი აღარც მახსოვს.

**— დღეს რომ გეთამაშა, უფრო გაგიჭირდებოდა, არა?**

— ბრიტანეთის პრობლემა ისაა, რომ ვერაფერს გააკონტროლებ. ბევრ რამეში ზღაპრული ქვეყანაა, მაგრამ ცუდიც აქვს. ეს ცუდი კი ისაა, რომ იმიჯზე უამრავი რამაა დამოკიდებული, პრესის ხელშია. დიდად ძნელი არ არის ასე ცხოვრება — ხუთ წელიწადს ვაკეთებდი, მაგრამ ეს სისულელეა.

**— რომ მიდიოდი, თუ წარმოგედგინა, რას გააკეთებდი ათი წლის შემდეგ?**

— მსახიობობა მინდოდა. თუმცა, დარწმუნებული არაფერში ვიყავი. ათი წლის თავზე, ვამაყობ, რომ ფილმის გადაღება შემიძლია.

**— ბოლოს რომელი თამაში ნახე სტადიონზე?**

— შარშან „კამპ ნოუზე“ „ბარსელონა“ — „ვალენსია“.

**— და ტელევიზორში?**

— მახსოვს, რომ „რომა“ — „ლიონი“ ვნახე. მაგრამ თამაშის ყურება არ მიყვარს, იმიტომ, რომ თამაში მინდება. არ მინდა, რომ ამ გრძნობაზე ვიყო დამოკიდებული.

**— ახლა რას ფიქრობ „მანჩესტერ იუნაიტედზე“?**

— არის საფეხბურთო „მანჩესტერი“ და ბიზნეს „მანჩესტერი“. ჩემთვის „მანჩესტერი“ ფეხბურთია. კარგად გამოსული თამაში. ფილოსოფია, რომელიც წლებია, არსებობს. როგორ მოიგო კლასის ხარჯზე — ეს ახლაც გიჟურად მომწონს.

**— კრიშტიანუ რონალდუზე რას იტყვი? იმსახურებს შენს მაისურას?**

— წინა სეზონში გოლები ვერ გაჰქონდა, მაგრამ ვხედავდი, რომ ამას არ ნაღვლობდა. ახლა გააქვს და სულ სხვა ფეხბურთელია, მსოფლიო კლასის. ახლა ნამდვილად საუკეთესოთა ათეულში შედის. დღევანდელ ფეხბურთში გუნდური თამაში ძალიან მომგებიანია, მაგრამ აუცილებლად. გჭირდება ფეხბურთელი, რომელიც თავის გზაზე მიდის, ყველაფერს თავდაყირა აყენებს.

**— როგორც რონალდინიო?**

— ჰო. თუ მეტოქე პრაქტიკულად გბორკავს, ინდივიდუალისტის ჯერი დგება. მან უნდა გიხსნას.

**— რონალდუ და შენ ძალიან განსხვავებული შვილიანები ხართ?**

— კი და არა. მე გატანა მიყვარდა, მაგრამ მიზნად არ მქონდა. თუ მისაცემი იყო, ბურთი არასდროს დამიჭერია. მარტო მაშინ ვურტყამდი, როცა დარტყმა მართლა სჯობდა პასს. პასი მიყვარს, კარგი პასი დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ამაში ალბათ ვგავართ. უბრალოდ, ჩვენ სხვადასხვა სტილის მოთამაშეები ვართ. მას ბურთი მეტხანს უჭირავს.

**— ყველაზე მეტად რა მოგწონდა თამაშში?**

— ბურთის მოულოდნელ, ამოუცნობ ადგილას გადაწოდება. ბურთის მარჯვნივ ელიან, შენ კი მარცხნივ გახსენი თამაში — ეს რომ იცი, უკვე მაგარი ხარ. სხვას ორი შესაძლებლობა აქვს, შენ ათი.

**— ისეთი თანაგუნდელი თუ გყავდა, ვისთვისაც პასის მიწოდება განსაკუთრებით გიყვარდა?**

— არა. ზოგი ფეხბურთელი უკეთ იხსნება და იჭერს სივრცეს. მარკ ჰიუზს ბურთის კარისკენ ზურგით მიღება უყვარდა, რაიან გიგზს უფრო წინ, სისწრაფეაკრეფილს. ასევე ანდრეი კანჩელსკისსაც. „მანჩესტერის“ ტაქტიკა იყო: ვთამაშობთ ჰიუზზე; ბურთი მე მივიღე, გიგზი და კანჩელსკისი კი უკვე გარბიან...

**— რა წამოგყვა „მანჩესტერიდან“? ვთქვათ, ფერგიუსონის თამაშისწინა სიტყვები თუ მოქმედებდა შენზე? თუ გამოგადგა, როცა პლაჟის ფეხბურთის გუნდს წვრთნიდი?**

— ფერგიუსონი არ ლაპარაკობდა სტილზე. ჩვენი ტაქტიკა ისედაც ვიცოდით: მოწინააღმდეგის ტაქტიკას არასდროს ვუხამებდით. ჩვენი თამაში უნდა გვეთამაშა. ის უფრო დეტალებზე ლაპარაკობდა: ამ მეკარეს დაბალი დაურტყით, იმ მცველს ეს უჭირს. მაგრამ, რაც უნდა ეთქვა, ბოლოს ასე ამთავრებდა: ახლა წადით და ისიამოვნეთ ამ თამაშით, სიხარული მიიღეთ. ეს გა-





ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკუთარ თავს არასოდეს ვიცავ

ნუმეორებელი სიტყვებია, იმიტომ, რომ მთელი კვირა მუშაობდი და ახლა შენს ხელშია ისიამოვნებ, თუ არა. ეს სამუშაოს ჯილდოა.

**— ფრანგულ გასახდელებში თუ გაგიგია მსგავსი სიტყვები?**

— არასდროს. იქ ამბობენ: აბა, თქვენ იცით! წავედით! კარგი, წავედით, მაგრამ სად? როგორ? ანდა პრეზიდენტი გეტყვის: მაისურას ოფლი უნდა გასდიოდეს. თითქოს ომში გიშვებენ. აქ სიამოვნებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

**— მეტი გამოთვლა, ვიდრე სიამოვნება?**

— საფრანგეთში ყველაზე დაცვითი ფეხბურთია. თუ ხუთი შემტევი ფეხბურთელი გამოგყავს, მეტოქე შეიდ დამცველს გამოიყვანს. ერთი თავდამსხმელი რომ გაიყვანო, მეტოქის მცველი ექვსი მაინც იქნება. საუკეთესო დაცვა შეტევაა. ეს კი საფრანგეთში არ არის.

**— შეიცვალე, რაც 40 წლისა გახდი? თუ ისევ ავი ფრანგი ბიჭი ხარ?**

— ასე მეძახნენ? მგონი, დიდად არ შევცვლილვარ. ისევ შემიძლია, შემგინებელს წიხლით მივახტე.

**— ახლა უფრო მშვიდი ჩანხარ...**

— უბრალოდ, ჩემი თავი უკეთ გავიცანი. მგონი, ისევ უხერხული ვარ. ეს ყოველთვის მომწონდა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე იყავი. ზინედინ ზიდანის „თავურზე“ რას იტყვი?**

— არ დამინახავს. ჩემს ვაჟთან ერთად ვიყავი და მისმა მეგობარმა დარეკა, თავი დაარტყაო. რაც ზიდანმა ქნა, უამრავ რამეს გულისხმობს. ის ისე გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე, როგორც ბავშვობაში, ეზოში სათამაშოდ.

გაიხსენეთ, პენალტი როგორ დაარტყა. ჩემთვის ეს უფრო გიჟური საქციელია, ვიდრე მარკო მატერაცისთვის თავის ძგერება. მისთვის ფეხბურთი სიამოვნების მეტი არაფერია. მას ეს განზრახულად არ გაუკეთებია, მაგრამ უკანაც არ დაიხია. რა თქმა უნდა, არ ვაქებ ამ თავურის გამო.

**— უკეთესი ჩემპიონობა იყო, თუ ასე მოქცევა?**

— შენიანს რომ აძევებენ, ცუდია, არა? ზიდანი კი მსოფლიოს ჩემპიონიცაა, ევროპისაც და კიდევ ფინალში გაგვიყვანა შარშან. ჩვენ უფრო რაიმონ დომენეკის გამო წავაგეთ. ტიერი ანრი იქ დარბოდა, ბურთს მისდევდა და დამხმარე კი არ ჰყავდა. იტალიელები არ უტევდნენ. დომენკს თავდამსხმელი უნდა გამოეყვანა — ეს შეცდომა ზიდანის თავურზე ძვირია. ზიდანი კი... ამ დონის ხელოვანს სისუსტეებიც აქვს.

**— მიშელ პლატინის არ სჭირდებოდა ასეთი რამეები და ბრწყინვალე იყო...**

— არა მგონია, პლატინის ასეთი სიგიჟე ჰქონოდა, რომ ასეთი პენალტი დაერტყა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში.

**— და მაინც, პლატინის აირჩევდი თუ ზიდანს?**

— მე უფრო მაგარი ვიყავი (იცინის). მაგრამ ასე ვიტყვი, როგორც ფეხბურთელი, ზიდანთან მეტ სიახლოვეს ვგრძნობ.

**— რაღაცით ამგვანებ თავს? შენც გქონდა ნეგატიური მხარე...**

— მე სხვისი დაცვით საკუთარ თავს არასდროს ვიცავ. მაგრამ შემიძლია მივუხვდე, ასეთები გადამხდენია.

**— თავს დამნაშავედ თუ გრძნობდი, როცა „კრისტალ პალასის“ გულშემატკივარს წიხლი ჩასცხე?**

— მეორე დილით სიტუაცია ვერ გავარჩიე. ვერც მივხვდი, რა მოხდა და ამას რა უნდა მოჰყოლოდა. რა თქმა უნდა, ამით ვერ ვიამაყებდი. ადამიანი ვარ, ასეთი მხარე მაქვს. მაგრამ ეს არაფერია, თუ განიცდი. არა უშავს, თუ კაცი ტირის — დაჭიმულ სიმს მერე მთების გადაგორება შეუძლია...



**— ეს განცდები გჭირდებოდა წინსვლისთვის?**

— როცა ხულიგანმა დამიძახა, შე ფრანგო ბოზიშვილოო, ასეთი რამ ბარე 50 მილიარდჯერ მქონდა გაგონილი, მაგრამ მაინცდამაინც იმ დღეს გადავირიე. რატომ? პასუხი არ მაქვს.

**— იმას როგორ ახსნი, რომ ამ დარტყმისთვის საფრანგეთში შეგრისხეს, ზიდანს კი აპატიეს?**

— ეს იმაზეა დამოკიდებული, სად და რამდენი გაილე ხალხისთვის. მე უფრო მეტი „მანჩესტერს“ მივეცი და იქ მაპატიეს, ისევე, როგორც ზიდანს საფრანგეთში.

**— რა გინდა, რომ გაიგონო კანტონა-ფეხბურთელზე 50 წლის შემდეგ?**

— მე ფეხბურთით ვცხოვრობდი, ისე, როგორც უნდა მეცხოვრა. ისე, როგორც არის თამაში, რომელიც უპატიოსნესად უნდა ითამაშო. პირველი მძიმე მუშაობაა, ოღონდ სიამოვნების გრძნობა არ უნდა დაკარგო. მგონი, ეს არის, რასაც ხალხი დაიმახსოვრებს ჩემზე. ჩემს ბნელ მხარეებთან ერთად.

**— ჩვენ ვშიშობდით, რომ, როცა ფეხბურთიდან წახვიდოდი, მარადონასა და ბესტივით არ დაგმართოდათ...**

— მარადონაც და ბესტიც ფეხბურთისთვის და ფეხბურთით ცხოვრობდნენ. როცა წავიდნენ, მოგონებების მეტი არაფერი დარჩათ. მე კი იმის საშუალება მქონდა, რომ თავი სადმე სხვაგან გამომეხატა. სხვა ინტერესები და გატაცებებიც მქონდა. იმაზე ფიქრით არ ვცხოვრობ, თუ ვინ ვიყავი.

**ჟან ფილიპ ლეკლერი,**
**ჟერომ ტუზადუ**

თაიმსი




## მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

### ერიკ კანტონა

თავდამსხმელი



დაიბადა 1966 წლის 24 მაისს პარიზში

სიმაღლე: 1,86 მეტრი; წონა: 80 კგ

კარიერა: 1983-88 წლები — „ოსერი“ (163 მატჩი, 46 გოლი), 1988-89 წლები — „მარსელი“ (22 მატჩი, 5 გოლი), 1989 წელი — „ბორდო“ (11 მატჩი, 6 გოლი), 1989-90 წლები — „მონპელიე“ (33 მატჩი, 10 გოლი), 1990-91 წლები — „მარსელი“ (18 მატჩი, 8 გოლი), 1991 წელი — „ნიმი“ (16 მატჩი, 2 გოლი), 1992 წელი — „ლიდსი“ (28 მატჩი, 9 გოლი), 1992-97 წლები — „მანჩესტერი“ (185 მატჩი, 82 გოლი)

1987-94 წლებში თამაშობდა საფრანგეთის ნაკრებში (45 მატჩი, 20 გოლი)



### BENTLEY GT

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,804 მეტრი

სიგანე: 1,916 მეტრი

სიმაღლე: 1,390 მეტრი

წონა: 2 385 კგ

ცილინდრი: 12

ძრავის კუბატურა: 5,9

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 318 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 145 000 დოლარი

# მე, სერ ალექსი და სხვანი

## მაურინიოს ასოციაციები



**იციით**, რას ამბობენ ინგლისელი ჟურნალისტები? „ჩელსის“ თავკაცმა ქოზე მაურინიომ ამ ორიოდ დღის წინ თავისი ცუგრიას გამო პოლიციას ისეთი ამბავი რომ დაატეხა, ცოტა ხნით დასაკვებელიც კი გახდა, სინამდვილეში ფეხბურთის ასოციაციის მოახლოებული ფინალის ბრალიაო. მოკლედ, მაურინიუ და „ჩელსი“ ორი-სამი კვირის წინ ოთხი ჯილდოს მოგებას აპირებდნენ (ინგილსის ჩემპიონობა, ჩემპიონთა ლიგა, „კარლინგის“ თასი და ფეხბურთის ასოციაციის თასი), ხვალ კი, დიდი-დიდი, „კარლინგის“ თასს ფეხბურთის ასოციაციისა დაამატონ და სულ ეს არის. იმასაც, დაამატებენ თუ ვერა, საკითხავია — 19 მაისს „უემბლიზე“ „ჩელსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხვდება.

„სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე ვთქვი, რომ ჩემი პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგის მოგება იყო, დანარჩენ ჯილდოთა შორის კი პრემიერლიგის ტიტულს ვაყენებდი ყველაზე მაღლა“ — თქვა მაურინიომ, რომელიც იორკშირული ტერიერის ამბის შემდეგ ცოტა დაწყნარდა, თუმცა მხოლოდ „მანჩესტერთან“ თამაშზე რომ ფიქრობს, პაპარაცებმა ვეება ობიექტივიანი აპარატით დაამტკიცეს — მანქანაში მეტოქის სავარაუდო განლაგებებით აჭრელებული ფურცლები „გამოუჭირეს“ და გაამსხვილეს.

ერთი სიტყვით, მაურინიუ პოლიციასთან ჩხუბის გარდა თამაშის წინა დღეებში იმითაც არის დაკავებული, რასაც პროფესიიდან გამომდინარე უნდა აკეთებდეს, ხოლო ჟურნალისტებს ასე განუმარტავს:

„ეგოისტური თვალსაზრისით კი, ყველაზე მეტად ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგება მინდა, რადგან ეს ჯილდო პირადად მე არასდროს მომიგია“.

დიახ, „კვადროპლი“, ანუ ერთ სეზონში ოთხივე შეჯიბრის მოგება არ გამოვიდა, მაგრამ იმ ოთხი ჯილდოდან, რომლის მოგებაც ინგლისში მოსაქმე საფეხბურთო მწვრთნელს შეუძლია, მას მესამის მოგება ხელეწიფება.

„ბავშვობაში — განაგრძობს მწვრთნელი — ხშირად მიოცნებია დიდ თამაშებში მონაწილეობაზე და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ინგლისის ასოციაციის თასი გახლდათ. საერთოდ, ბავშვობის ამბავი ხომ იცით, უფრო ფინალებზე ოცნებობ, ვიდრე თავად ჯილდოებზე. ბავშვობაში კი არა, ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი მაშინაც ასე ვიყავი, თვალწინ პორტუგალიის თასის ფინალი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი, ევროპის ჩემპიონთა თასისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალები წარმომიდგებოდა ხოლმე. ამ ფინალებიდან ორში უკვე მივიღე მონაწილეობა და, რაც მთავარია, გავიმარჯვე. ახლა, შაბათს, მესამე ოცნებასაც თუ ავისრულებ, მთლად საუცხოო იქნება. კიდევ იცით, რა მახსოვს? მე და ჩემი ოჯახი ინგლისის ფეხბურთის ასოციციის თასის ფინალს ტელევიზორში რომ ვუყურებდით, ყოველთვის გვინდოდა, მატჩი ფრედ დამთავრებულიყო, რადგან ასეთ შემთხვევაში გადათამაშება ინიშნებოდა და ნამდვილი რომანტიკული შეხვედრები იმართებოდა. ხშირად პატარა კლუბი იგებდა ხოლმე“.

ბოლო წინადადების კომენტარად ინგლისელმა ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ პატარა გუნდი ამჯერად ვერ გაიმარჯვებს, რადგან ფინალის ორივე მონაწილე მსხვილტანიანია.

მაურინიუ: „თამაში განახლებულ „უემბლიზე“ გაიმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ყველა ვარიანტში საგანგებო და ისტორიული იქნება, მაგრამ მე მინდა, მაყურებელს სპორტული თვალსაზრისითაც სანახაობა შევთავაზოთ. ეს მხარე უკვე ჩემზე, სერ ალექსზე, მსაჯ სტივ ბენეტზე და ფეხბურთელებზე იქნება დამოკიდებული. ჰოდა, მე ძალიან გამიხარდება, თუ თამაშის ბოლოს ჩვენ პატიოსანი ბრძოლის შედეგად მოზეიმე გამარჯვებული და ამაყი დამარცხებული გვეყოლება“.

აი, ასე დაიშაქრა ჩვეულებრივ ენამწარე პორტუგალიელი მწვრთნელი, თუმცა, მაურინიუ რის მაურინიუ იქნებოდა, თავის ნათქვამში ერთი სიმწარე მაინც არ გაერია:

„კრიშტიანუ რონალდუ დიდი ფეხბურთელია, მაგრამ უფრო დიდობა სურს, რისთვისაც, მე თუ მკითხავთ, მეტოქეების მიმართ უფრო პატიოსანი უნდა გახდეს. ფინალში თამაშის დროს ბედნიერების განცდაა საჭირო და ძალიან მეწყინება, ვილაც-ვილაცებმა სიმულიანტობა რომ იკადრონ და ამისათვის ყვითელი ბარათი მიიღონ. არ მინდა, ამ დღეს პროვოკაციები ვნახო“.

„თასს თუ მოვიგებთ, კარგი იქნება, მაგრამ ეს მაინც ვერ დაგვავიწყებს, თუ რა მოხდა აწ უკვე დამთავრებულ სეზონში. ვფიქრობ, „ჩელსიმ“ ყველას აჩვენა, როგორ უნდა წააგო პრემიერლიგის ტიტული. ჩვენ ყველაფერი გავიღეთ და უკანასკნელ წამამდე ვიბრძოლეთ, ხოლო წაგების შემდეგ ღირსეულად მოვიქეცით. ვამაყობ, რომ „ჩელსი“ განახლებულ „უემბლიზე“ შეაბიჯებს და ძალიან ვამაყობ იმით, თუ როგორ გავაკეთეთ ეს. ფინალისკენ გზაზე ჩვენ დიდი მეტოქეები და ფეხბურთელები დავამარცხეთ. შეგახსენებთ, ჩვენს თამაშს „სპურზთან“, მას მერე, რაც შინ 1:3 წავაგეთ, საპასუხო შეხვედრაში კი ძალ-ღონე მოვიკრიბეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით. შეგახსენებთ, „ბლექბერნთან“ დამატებით დროს. განა შეიძლება, ვინმეს წამოცდეს, რომ „ჩელსი“ ამ დიდ ფინალს არ იმსახურებდა?!“

როგორც გაირკვა, ქოზე მაურინიუ „უემბლიზე“ ორჯერ ყოფილა.

„პირველად ეს იყო ევრო 96-ზე, როდესაც გაზამ შოტლანდიას დაუვიწყარი გოლი გაუტანა, მეორედ კი, როდესაც „ბარსელონაში“ ვმუშაობდი და „არსენალთან“ 4:2 გავიმარჯვეთ. თუმცა, ახლანდელ, მესამე შემთხვევას წინა ორი, ბუნებრივია, ვერ შეედრება. იმედი მაქვს, ამჯერად უდიდესი სიამოვნების წინაშე ვდგავარ და მინდა, ჩემს ფეხბურთელებსაც იგივე განცდა ჩავუნერგო“.

**პაპუნა ძედია**



# ფინალის წურბელა

## ჩელსი და მანჩესტერი ასოციაციის წინააღმდეგ

**„ჩელსის“** ფანებმა კამპანია წამოიწყეს: გავბრაზდეთ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაზე! ამ შინაარსის მოწოდება ეწერა იმ პროკლამაციებზე, რომლებიც მათმა აქტივისტებმა კვირას „სტემფორდ ბრიჯზე“ დაარიგეს და უნდა ითქვას, რომ ასოციაციაზე ამ ორგანიზაციის თასის ფინალში „ჩელსის“ მოწინააღმდეგის, „მანჩესტერის“ გულშემატკივრებიც სიამოვნებით გაბრაზდებიან. ლონდონელები ფინალის დღეს, 19 მაისს, „უემბლის“ სტადიონზე ასოციაციის მიერ რეკლამირებული, მისი პარტნიორი სასმელებისა და სხვა ფირმების პროდუქციის ბოიკოტირებას აპირებენ. სავარაუდოდ, მათ მანჩესტერელებიც შეუერთდებიან.

რა ხდება? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ (ეს პაუზა კი ინგლისის მთავარი სარბიელის რეკონსტრუქციით გახლდათ განპირობებული) ასოციაციის თასის ფინალი კვლავ „უემბლიზე“ ჩატარდება, მაგრამ... თუკი „ჩელსისა“ და „მანჩესტერის“ ქომაგთათვის გამოყოფილი 25-25 ათასი ადგილზე ბილეთის ფასი შედარებით იაფია, დანარჩენთათვის ის 95 გირვანქას უდრის. წარმოგიდგენიათ? სტადიონის ერთი ბილეთის ფასი 95 გირვანქა, ანუ დაახლოებით 180 დოლარია!

და, ნუ იფიქრებთ, რომ ფინალისტთა ქომაგებს, რომლებზედაც ვთქვით, ბილეთი იაფი უჯდებათო, ის მართლა იაფი უჯდებათ — 60 გირვანქა, ასე შემსუბუქდება მათი ჯიბე. დიდი შეღავათია ეს თუ არა, თავად განსაჯეთ.

„ორივე გუნდის 21 ათასი ქომაგი იძულებულია, ბილეთში 60 გირვანქა გადაიხადოს — წერია ზემოხსენებულ პროკლამაციაში — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთის ასოციაცია ჩვეულებრივი გულშემატკივრის გაყვლეფას აპირებს, რათა „უემბლის“ მშენებლობისას გამოჩენილი გაუთვალისწინებელი თანხები დაფაროს. ნათელია, რომ განახლებული „უემბლის“ ექსტრა-ხარჯის დასაფარავად ასოციაციას მომავალშიც იგივე გეგმა ექნება, ამიტომ, ნუ გადაუხდით მას ზედმეტს! ნუ გაიყვლიფებით თქვენ! დაე, ფეხბურთის ასოციაცია გაიყვლიფოს!“

**პაპუნა ძედია**

# თექვსმეტი წელი წინ და უკან!




**თუ** „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხვალ ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში „ჩელსის“ დაამარცხებს, რაიან გიგზი ახალი რეკორდის მპყრობელი გახდება — მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ეს ჯილდო ხუთჯერ არავის მოუგია.

ოთხჯერ? ასეთები არიან თავად გიგზი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი როი კინი და მარკ ჰიუზი.

საერთოდ, გიგზი რეკორდების დამყარებით გახლავთ ცნობილი. აი, მაგალითად, მან „ლივერპულის“ ლეგენდა ფილ ნილს მოუხსნა საუკეთესო შედეგი: ნილი რვაჯერ გახლდათ პრემიერლიგის ჩემპიონი, გიგზმა კი წლეულს ეს ტიტული მეცხრედ მოიგო.

„მანჩესტერის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი: „დიდი იმედი მაქვს, რომ რაიანი გახდება პირველი ფეხბურთელი, რომელიც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასს მეხუთედ მოიპოვებს. განა საოცარი არ არის მისი მეორე შედეგი: ცხრაგზის ჩემპიონობა? ამაღელვებელია, როდესაც ფიქრობ, რომ ის ჯილდოების დაგროვებას კიდევ განაგრძობს. მას საოცარი კარიერა აქვს. უნდა ნახოთ, როგორ მუშაობს, როგორ უფრთხილდება ფორმას და დარწმუნდებით, რომ რაიან გიგზი ყველასთვის ნამდვილი მაგალითია. იგი უკვე განეკუთვნება „მანჩესტერის“ დიადებს, ფეხბურთის თამაშს ხვალვე რომ დაანებოს თავი, გიგზი მაინც ისტორიულ პიროვნებად დარჩება. მთელი 16 წელიწადია, თავის ფრთაზე წინ და უკან დარბის. მერწმუნეთ, პრემიერლიგის ისტორიაში სხვა ასეთი არავინ მეგულება“.

სერ ალექსის თქმით, 33 წლის გიგზი ერთადერთი ფეხბურთელია, რომლის დიდ კარიერაში მას იმთავითვე არ ეპარებოდა ეჭვი.

„რაიანი ჩვენთან 13 წლისა მოვიდა — განაგრძო ფერგიუსონმა — და მაშინვე ვიცოდი, რომ ის დიდ წარმატებას მიაღწევდა. მე ასეთი პატარა ასაკის სხვა ფეხბურთელზე მსგავსი არასდროს არაფერი მითქვამს. მახსოვს, ბობი ჩარლტონს რომ დავურეკე და ვუთხარი, მოდი, ერთი ბიჭი უნდა გაჩვენო-მეთქი. ვფიქრობ, გიგზის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ახლანდელი ახალგაზრდობისთვისაც, უეინ რუნისა და კრიშტიანუ რონალდუს ჩათვლით. ის მუდამ მათ გვერდითაა და რჩევას აძლევს“.

**პაპუნა ძედია**

**რაიან გიგზის ჯილდოები**

ინგლისის ჩემპიონობა: 1993, 94, 96, 97, 99, 2000, 2001, 2003, 2007

ასოციაციის თასი: 1994, 96, 99, 2004

ლიგის თასი: 1992, 2006

ქომუნითი შილდი: 1993, 94, 96, 97, 2003

ჩემპიონთა ლიგა: 1999

სუპერთასი: 1991

საკონტინენტთაშორისო თასი: 1999



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი & კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 1 | ნოტინგემი-იოვილი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 540 | ბლეკპული-ოლდემი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 4 | დონსი-შრიუსბერი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 490 | ექსეტერი-მორკამბი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 15:30 | 5 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 15:30 | 6 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 15:30 | 7 | სტ.მირენი-ინვერნესი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 8 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 17:00 | 10 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3.55 | 3.30 | 1.90 | 1.71 | 1.23 | 1.20 |
| 17:00 | 12 | კილმარნოკი-ჰართსი | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 17:30 | 13 | ბაიერნი-მაინცი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 17:30 | 15 | აინტრახტი-ჰერტა | 2.20 | 3.30 | 2.95 | 1.32 | 1.26 | 1.55 |
| 17:30 | 16 | ჰამბურგი-ალემანია | 1.60 | 3.70 | 5.20 | 1.11 | 1.22 | 2.16 |
| 17:30 | 17 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.50 | 3.80 | 1.21 | 1.24 | 1.82 |
| 17:30 | 18 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 19 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 17:30 | 20 | შალკე-არმინია | 1.22 | 5.60 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.58 |
| 17:30 | 22 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.20 | 6.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 4.13 |
| 17:30 | 23 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 25 | აუე-მიუნხენი 1860 | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 16:00 | 26 | აუგსბურგი-კარლ ცაისი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 16:00 | 27 | ბურგჰაუზენი-პადერბორნი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 16:00 | 28 | დუისბურგი-ესენი | 1.50 | 3.70 | 5.70 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 16:00 | 29 | ფრაიბურგი-კობლენცი | 1.20 | 5.70 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.75 |
| 16:00 | 30 | ფიურტი-კარლსრუე | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 16:00 | 31 | ჰანზა-უნტერჰახინგი | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| 16:00 | 32 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 16:00 | 33 | ოფენბახი-ბრაუნშვაიგი | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 34 | ვუპერტალი-ვილჰელმშაფენი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 16:00 | 35 | ალენი-მიონხენგლადბახი(მ) | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 16:00 | 36 | დორტმუნდი(მ)-უნ ბერლინი | 1.80 | 3.20 | ,3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 16:00 | 37 | დინამო-ემდენი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 16:00 | 38 | დიუსელდორფი-ჰამბურგი(მ) | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 16:00 | 39 | ლიუბეკი-ჰერტა(მ) | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 16:00 | 40 | მაგდებურგი-ლევერკუზენი(მ) | 1.32 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.12 | 2.69 |
| 16:00 | 41 | ოსნაბრიუკი-კილი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 42 | ერფურტი-ზტ.პაული | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.) | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 43 | ელვერსბერგი-რეუტლინგენი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 44 | ჰოფენჰაიმი-პირმაზენსი | 1.37 | 3.90 | 7.00 | 1.01 | 1.14 | 2.50 |
| 21:00 | 45 | ლაუტერნი(მ)-ფულენდორფი | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| 21:00 | 46 | მიუნხენი1860(მ)-ვეენი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 16:30 | 47 | აალენი-ზიგენი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:30 | 48 | ჰესენ-კასელი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 16:30 | 49 | ინგოლშტადი-ბაიერნი(მ) | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 16:30 | 50 | კარლსრუე(მ)-ზაარბრიუკენი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 51 | შტუტგარტი(მ)-დარმშტადი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | ავსტრია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 68 | ავსტრია(ლ)-ლეობენი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 21:00 | 69 | ჰარტბერგი-ლინცერი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 21:00 | 70 | კაფენბერგი-ადმირა | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| 21:00 | 71 | კერნტენი-ავსტრია(მ) | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 72 | პარნდორფი-ლუსტენაუ | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 108 | მილანი-უდინეზე | 2.05 | 2.60 | 4.55 | 1.14 | 1.41 | 1.65 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 101 | ატალანტა-ინტერი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| 17:00 | 103 | კალიარი-რომა | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 17:00 | 104 | კიევო-ასკოლი | 1.12 | 6.50 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.90 |
| 17:00 | 105 | ემპოლი-რეჯინა | 2.60 | 2.40 | 2.95 | 1.24 | 1.38 | 1.32 |
| 17:00 | 106 | ლაციო-პარმა | 3.35 | 2.30 | 2.50 | 1.36 | 1.43 | 1.19 |
| 17:00 | 107 | მესინა-ფიორენტინა | 7.50 | 3.70 | 1.45 | 2.47 | 1.21 | 1.04 |
| 17:00 | 110 | პალერმო-სიენა | 2.50 | 2.50 | 3.35 | 1.25 | 1.43 | 1.43 |
| 17:00 | 111 | სამპდორია-კატანია | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 113 | არეცო-იუვენტუსი | 4.80 | 2.60 | 1.90 | 1.68 | 1.36 | 1.09 |
| 18:00 | 114 | ბარი-ვერონა | 3.60 | 2.30 | 2.45 | 1.40 | 1.45 | 1.18 |
| 18:00 | 115 | ბოლონია-ბრეშა | 1.80 | 2.80 | 4.85 | 1.09 | 1.31 | 1.77 |
| 18:00 | 116 | ჩეზენა-პიაჩენცა | 3.40 | 2.70 | 2.20 | 1.50 | 1.33 | 1.21 |
| 18:00 | 117 | ფროზინონე-ტრევიზო | 2.20 | 2.20 | 4.65 | 1.10 | 1.49 | 1.49 |
| 18:00 | 118 | მანტოვა-ვერონა | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 18:00 | 119 | ნაპოლი-მოდენა | 1.35 | 3.80 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.67 |
| 18:00 | 120 | პესკარა-ალბინოლეფე | 3.80 | 2.70 | 2.05 | 1.57 | 1.33 | 1.16 |
| 18:00 | 121 | სპეცია-რიმინი | 2.75 | 2.50 | 2.75 | 1.30 | 1.37 | 1.30 |
| 18:00 | 122 | ტრიესტინა-კროტონე | 1.34 | 4.20 | 7.50 | 1.01 | 1.13 | 2.69 |
| 18:00 | 123 | ვიჩენცა-ლეჩე | 2.40 | 1.90 | 5.30 | 1.06 | 1.65 | 1.39 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.45 | 3.70 | 7.20 | 1.04 | 1.20 | 2.44 |
| 22:00 | 131 | მალიორკა-ვალენსია | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 23:45 | 136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.25 | 3.20 | 2.10 | 1.61 | 1.27 | 1.26 |
| 19:00 | 127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 128 | დეპორტივო-სევილია | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| 19:00 | 130 | ლევანტე-ოსასუნა | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 21:00 | 132 | უელვა-რეალი | 4.80 | 3.30 | 1.75 | 1.95 | 1.28 | 1.14 |
| 19:00 | 134 | სოსიედადი-სელტა | 1.95 | 3.30 | 3.65 | 1.22 | 1.27 | 1.73 |
| 19:00 | 135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.75 | 3.30 | 4.55 | 1.14 | 1.26 | 1.91 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:30 | 137 | ალავესი-ეიბარი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:30 | 139 | ალმერია-პონფერადინა | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 20:30 | 142 | სპორტინგი-სალამანკა | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 20:30 | 143 | პერკულესი-ხერესი | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 20:30 | 145 | ნუმანსია-ლას პალმასი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 20:30 | 147 | ვეცინდარიო-რეალი(ბ) | 3.95 | 3.20 | 1.85 | 1.76 | 1.25 | 1.17 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 138 | ალბასეტე-სიუდადი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 20:00 | 140 | კადისი-ლორკა | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 20:30 | 141 | კასტელონი-ვალიადოლიდი | 2.95 | 2.90 | 2.40 | 1.46 | 1.32 | 1.31 |
| 14:00 | 144 | მურსია-ელჩე | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:30 | 146 | ტენერიფე-მალაგა | 2.10 | 2.90 | 3.55 | 1.21 | 1.31 | 1.59 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 148 | ოსერი-ლილი | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 22:45 | 149 | ლე მანი-ბორდო | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 150 | ლანსი-ნიცა | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 22:45 | 151 | მონაკო-ლიონი | 2.80 | 2.90 | 2.55 | 1.42 | 1.33 | 1.35 |
| 22:45 | 153 | ნანსი-სოშო | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 22:45 | 154 | ნანტი-ტულუზა | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 155 | პსჟ-ტროა | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 22:45 | 156 | რენი-ლორიანი | 1.75 | 3.20 | 4.80 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 22:45 | 157 | სედანი-ვალენსიენი | 2.45 | 2.90 | 2.95 | 1.32 | 1.33 | 1.46 |
| 22:45 | 158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 161 | შატორუ-გენგამი | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 22:00 | 162 | კრეტეი-ამიენი | 2.80 | 3.00 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |
| 22:00 | 163 | გრენობლი-დიჟონი | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 22:00 | 164 | გენიონი-ბასტია | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 22:00 | 165 | ისტრი-კაენი | 3.40 | 3.00 | 2.10 | 1.59 | 1.29 | 1.23 |
| 22:00 | 166 | ლე ავრი-ნიორი | 2.05 | 3.00 | 3.50 | 1.21 | 1.29 | 1.61 |
| 22:00 | 167 | რეიმსი-ლიბურნი | 2.20 | 2.80 | 3.40 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| 22:00 | 168 | სტრასბური-მეცი | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 22:00 | 169 | ტური-ბრესტი | 4.00 | 3.00 | 1.90 | 1.71 | 1.28 | 1.16 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 170 | ბევერსხოტი-რუზელარე | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 171 | ბრიუგე-სერკლი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 22:00 | 172 | შარლერუა-ვარეგემი | 1.35 | 4.40 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.70 |
| 22:00 | 173 | ბრიუსელი-გენკი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 22:00 | 175 | ლოკერენი-ლიერსი | 2.55 | 3.50 | 2.35 | 1.47 | 1.22 | 1.40 |
| 22:00 | 176 | მუსკრონი-სტანდარდი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 22:00 | 177 | მონსი-ანდერლეხტი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 22:00 | 178 | სტ.ტრუიდენი-ბევერენი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 22:00 | 179 | ვესტერლო-გენტი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 194 | მარიტიმუ-ბოავიშტა | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 22:15 | 189 | ამადორა-ლეირია | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:15 | 190 | ბეირა მარი-ფერეირა | 2.05 | 3.30 | 3.15 | 1.26 | 1.24 | 1.61 |
| 22:15 | 191 | ბენფიკა-აკადემიკა | 1.15 | 6.40 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.17 |
| 22:15 | 193 | ბრაგა-ნასიონალი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 22:15 | 195 | ნავალი-სეტუბალი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 22:15 | 196 | პორტუ-ავეში | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 22:15 | 198 | სპორტინგი-ბელენენსეში | 1.25 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.37 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი. 19 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 218 | როსტოვი-ხიმკი | 2.15 | 2.70 | 3.55 | 1.19 | 1.33 | 1.53 |
| 18:00 | 219 | სატურნი-ნალჩიკი | 1.65 | 3.00 | 6.00 | 1.06 | 1.29 | 2.00 |
| 14:00 | 220 | სპარტაკი მ-ლოკომოტივი მ | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 221 | ამკარი-ცსკა მ | 4.50 | 3.00 | 1.80 | 1.79 | 1.28 | 1.12 |
| 19:00 | 222 | დინამო მ-მოსკოვი | 2.50 | 2.60 | 3.00 | 1.27 | 1.36 | 1.39 |
| 16:00 | 223 | ტომსკი-კრილია | 2.10 | 2.70 | 3.90 | 1.18 | 1.36 | 1.59 |
| 14:00 | 224 | ზენიტი-რუბინი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 226 | კორონა-ბელხატოვი | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| 22:00 | 228 | ლეხნა-ზაგლებე | 6.70 | 3.80 | 1.45 | 2.42 | 1.19 | 1.04 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 225 | არკა-გურნიკი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 21:30 | 227 | ლეხი-ლეგია | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 229 | პოგონი-კრაკოვია | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 20:00 | 230 | ვიძევი-ოდრა | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |
| 20:00 | 231 | ვისლა-გროცლინი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 20:00 | 232 | პლოცკი-ლოძი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 234 | ბრნო-კლადნო | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 235 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1.45 | 3.80 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.37 |
| 19:00 | 236 | მოსტი-ბოლესლავი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 19:00 | 237 | ბანიკი-ბუდეიოვიცე | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 238 | პლზენი-იაბლონეცი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:00 | 239 | სიგმა-სპარტა | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| 19:00 | 240 | სლავია-ზლინი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 19:00 | 241 | სლოვაცკო-პრშიბრამი | 3.50 | 3.40 | 1.90 | 1.72 | 1.23 | 1.21 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 256 | ოლბორგი-ესბიერგი | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 257 | რანდერსი-ჰორსენსი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:00 | 258 | სილკებორგი-ნორდსიელანდი | 4.30 | 3.40 | 1.80 | 1.89 | 1.26 | 1.17 |
| 17:00 | 259 | ვეილე-მიდტიულანდი | 4.30 | 3.60 | 1.75 | 1.95 | 1.24 | 1.17 |
| 20:00 | 260 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 5.30 | 3.50 | 1.65 | 2.10 | 1.25 | 1.12 |
| 17:00 | 261 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 2.25 | 3.30 | 2.95 | 1.33 | 1.27 | 1.55 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 289 | გეფლე-ჰამარბი | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.28 | 1.35 |
| 19:00 | 290 | იორებრო-მალმიო | 3.60 | 3.30 | 1.95 | 1.72 | 1.26 | 1.22 |
| | | 21 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 291 | აიკ-ჰალმსტადი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 21:00 | 292 | გაის-კალმარი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 21:00 | 293 | ტრელებორგი-იურგორდენი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 534 | ბრეი-სლიგო | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 22:45 | 535 | კორკი-ბოჰემიანი | 2.00 | 3.10 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 22:45 | 536 | გოლვეი-დუბლინი | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 23:00 | 537 | შემროკი-უოტერფორდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 538 | ლონგფორდი-დერი | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| | | 21 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 539 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 336 | არგ. ხუნიორსი-როსარიო | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 23:45 | 337 | არსენალი-ბანფილდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 552 | ატლეტიკო პრონტრანაონალი | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 553 | ჟუვენტუდი-პარანა | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 554 | სანტოსი-ამერიკა | 1.30 | 4.50 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.81 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 555 | ბოტაფოგო-ატლეტიკო მგ | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 23:00 | 556 | კრუზეირო-კორინთიანსი | 1.80 | 3.25 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.79 |
| 23:00 | 557 | გოიასი-ფლამენგო | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 23:00 | 558 | პალმეირასი-ფიგეირენსე | 1.45 | 3.75 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| 23:45 | 559 | გრემიო-ფლუმინენსე | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 560 | ნაუტიკო-სან პაულუ | 4.00 | 3.25 | 1.80 | 1.79 | 1.24 | 1.15 |
| 23:45 | 561 | ვასკუ და გამა-სპორტ რესიფი | 1.45 | 3.75 | 6.25 | 1.04 | 1.17 | 2.34 |
| | | ჩილე. 19 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 346 | ანტოფაგასტა-კობრესალი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 23:45 | 351 | სერენა-უ.კონსეპსიონი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:45 | 354 | უონდერერსი-ლოტა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 23:45 | 355 | უნ.კატოლიკა-პიგისი | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 347 | აუდაქსი-კოლო კოლო | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 23:45 | 348 | კობრელოა-პალესტინო | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 23:30 | 349 | დ.კონსეპსიონი-ევერტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:30 | 350 | უაჩიპატო-უნ.ესპანიოლა | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 23:45 | 352 | მელიპილა-პუერტო მონტი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 23:30 | 353 | ნუბლენსე-კოკიმბო | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | ინგლისი. თასი. 19 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10005 | დანდი იუნაიტედი-მოზერველი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10008 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.90 | 2.00 | 3.20 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3.90 | 2.00 | 2.45 | 1.32 | 1.50 | 1.10 |
| 10012 | კილმარნოკი-ჰართსი | 4.30 | 2.00 | 2.35 | 1.36 | 1.51 | 1.08 |
| 10013 | ბაიერნი-მაინცი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10015 | აინტრახტი-ჰერტა | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |
| 10016 | ჰამბურგი-ალემანია | 2.05 | 2.10 | 5.70 | 1.03 | 1.50 | 1.53 |
| 10017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2.30 | 2.10 | 4.30 | 1.09 | 1.49 | 1.41 |
| 10018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.95 | 2.00 | 3.00 | 1.19 | 1.48 | 1.20 |
| 10019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.95 | 2.00 | 3.00 | 1.19 | 1.48 | 1.20 |
| 10020 | შალკე-არმინია | 1.55 | 2.70 | 9.00 | 1.00 | 1.32 | 2.07 |
| 10022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.35 | 3.20 | 12.00 | 1.00 | 1.21 | 2.52 |
| 10023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.90 | 2.00 | 2.40 | 1.32 | 1.48 | 1.09 |
| 10101 | ატალანტა-ინტერი | 2.90 | 1.80 | 3.20 | 1.11 | 1.52 | 1.15 |
| 10103 | კალიარი-რომა | 2.10 | 2.00 | 5.50 | 1.02 | 1.51 | 1.46 |
| 10105 | ემპოლი-რეჯინა | 3.10 | 1.80 | 3.30 | 1.13 | 1.59 | 1.16 |
| 10106 | ლაციო-პარმა | 3.90 | 1.50 | 2.90 | 1.08 | 1.66 | 1.00 |
| 10107 | მესინა-ფიორენტინა | 7.00 | 2.20 | 1.80 | 1.67 | 1.43 | 1.00 |
| 10108 | მილანი-უდინეზე | 2.55 | 1.80 | 4.75 | 1.05 | 1.65 | 1.30 |
| 10110 | პალერმო-სიენა | 2.95 | 1.90 | 3.70 | 1.15 | 1.64 | 1.25 |
| 10111 | სამპდორია-კატანია | 2.95 | 1.80 | 3.20 | 1.11 | 1.53 | 1.15 |
| 10124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.85 | 2.30 | 6.50 | 1.02 | 1.44 | 1.69 |
| 10127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 2.65 | 2.00 | 3.75 | 1.13 | 1.55 | 1.30 |
| 10128 | დეპორტივო-სევილია | 4.00 | 2.00 | 2.55 | 1.33 | 1.55 | 1.12 |
| 10130 | ლევანტე-ოსასუნა | 2.75 | 2.00 | 3.75 | 1.15 | 1.58 | 1.30 |
| 10131 | მალიორკა-ვალენსია | 3.75 | 2.00 | 2.55 | 1.30 | 1.51 | 1.12 |
| 10132 | უელვა-რეალი | 5.20 | 2.10 | 2.15 | 1.49 | 1.52 | 1.06 |
| 10134 | სოსიედადი-სელტა | 2.40 | 2.10 | 4.00 | 1.12 | 1.50 | 1.37 |
| 10135 | ვილიარეალი-რასინგი | 2.15 | 2.10 | 5.00 | 1.06 | 1.50 | 1.47 |
| 10148 | ოსერი-ლილი | 2.60 | 1.80 | 4.20 | 1.06 | 1.60 | 1.25 |
| 10149 | ლე მანი-ბორდო | 3.70 | 1.80 | 2.85 | 1.21 | 1.60 | 1.10 |
| 10150 | ლანსი-ნიცა | 2.20 | 2.00 | 5.30 | 1.04 | 1.55 | 1.45 |
| 10151 | მონაკო-ლიონი | 3.30 | 1.80 | 3.00 | 1.16 | 1.57 | 1.12 |
| 10153 | ნანსი-სოშო | 3.00 | 1.80 | 3.40 | 1.12 | 1.59 | 1.17 |
| 10154 | ნანტი-ტულუზი | 3.80 | 1.80 | 2.80 | 1.22 | 1.61 | 1.09 |
| 10155 | პსჟ-ტრუა | 2.40 | 1.90 | 4.80 | 1.06 | 1.60 | 1.36 |
| 10156 | რენი-ლორიანი | 2.30 | 2.00 | 5.00 | 1.06 | 1.57 | 1.42 |
| 10157 | სედანი-ვალენსიენი | 2.95 | 1.80 | 3.40 | 1.11 | 1.57 | 1.17 |
| 10158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 3.70 | 1.80 | 2.85 | 1.21 | 1.60 | 1.10 |
| 10161 | შატორუ-გენგამი | 3.00 | 1.80 | 3.85 | 1.12 | 1.68 | 1.22 |
| 10162 | კრეტეი-ამიენი | 3.60 | 1.80 | 3.10 | 1.20 | 1.66 | 1.13 |
| 10163 | გრენობლი-დიჟონი | 2.55 | 1.90 | 4.20 | 1.08 | 1.58 | 1.30 |
| 10164 | გენიონი-ბასტია | 2.55 | 1.90 | 4.20 | 1.08 | 1.58 | 1.30 |
| 10165 | ისტრი-კაენი | 4.20 | 1.80 | 2.65 | 1.25 | 1.62 | 1.07 |
| 10166 | ლე ავრი-ნიორი | 2.80 | 1.80 | 4.00 | 1.09 | 1.64 | 1.24 |
| 10167 | რეიმსი-ლიბურნი | 3.00 | 1.80 | 3.90 | 1.12 | 1.69 | 1.23 |
| 10168 | სტრასბური-მეცი | 2.55 | 1.90 | 4.20 | 1.08 | 1.58 | 1.30 |
| 10169 | ტუარი-ბრესტი | 4.20 | 1.90 | 2.55 | 1.30 | 1.58 | 1.08 |
| 10170 | ბეერსხოტი-რუზელარე | 2.05 | 2.10 | 4.75 | 1.03 | 1.43 | 1.45 |
| 10357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.10 | 1.90 | 3.10 | 1.17 | 1.54 | 1.17 |
| 10490 | ექსეტერი-მორეკამბი | 2.80 | 2.00 | 3.10 | 1.16 | 1.47 | 1.21 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | დანდი იუნაიტედი-მოზერველი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11008 | აბერდინი-რეინჯერსი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11012 | კილმარნოკი-ჰართსი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11013 | ბაიერნი-მაინცი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11015 | აინტრახტი-ჰერტა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11016 | ჰამბურგი-ალემანია | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11020 | შალკე-არმინია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11101 | ატალანტა-ინტერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11103 | კალიარი-რომა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11107 | მესინა-ფიორენტინა | 10.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.90 |
| 11108 | მილანი-უდინეზე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11111 | სამპდორია-კატანია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11128 | დეპორტივო-სევილია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11130 | ლევანტე-ოსასუნა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11131 | მალიორკა-ვალენსია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11132 | უელვა-რეალი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11134 | სოსიედადი-სელტა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11135 | ვილიარეალი-რასინგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11136 | სარაგოსა-ბილბაო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11148 | ოსერი-ლილი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11149 | ლე მანი-ბორდო | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11150 | ლანსი-ნიცა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11151 | მონაკო-ლიონი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11153 | ნანსი-სოშო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11154 | ნანტი-ტულუზი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11155 | პსჟ-ტრუა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11156 | რენი-ლორიანი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11157 | სედანი-ვალენსიენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11161 | შატორუ-გენგამი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11162 | კრეტეი-ამიენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11163 | გრენობლი-დიჟონი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11164 | გენიონი-ბასტია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11165 | ისტრი-კაენი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11166 | ლე ავრი-ნიორი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11167 | რეიმსი-ლიბურნი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11168 | სტრასბური-მეცი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11169 | ტუარი-ბრესტი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11170 | ბეერსხოტი-რუზელარე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11490 | ექსეტერი-მორეკამბი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12005 | დანდი იუნაიტედი-მოზერველი | 1.70 | 1.90 | 12130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 | 12131 | მალიორკა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 | 12132 | უელვა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 | 12134 | სოსიედადი-სელტა | 1.60 | 2.00 |
| 12010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 1.70 | 1.90 | 12135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12012 | კილმარნოკი-ჰართსი | 1.70 | 1.90 | 12148 | ოსერი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ბაიერნი-მაინცი | 2.20 | 1.50 | 12149 | ლე მანი-ბორდო | 1.60 | 2.00 |
| 12015 | აინტრახტი-ჰერტა | 2.10 | 1.55 | 12150 | ლანსი-ნიცა | 1.60 | 2.00 |
| 12016 | ჰამბურგი-ალემანია | 2.10 | 1.55 | 12151 | მონაკო-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 12017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.90 | 1.70 | 12153 | ნანსი-სოშო | 1.70 | 1.90 |
| 12018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.00 | 1.60 | 12154 | ნანტი-ტულუზი | 1.70 | 1.90 |
| 12019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.10 | 1.50 | 12155 | პსჟ-ტრუა | 1.70 | 1.90 |
| 12020 | შალკე-არმინია | 2.30 | 1.45 | 12156 | რენი-ლორიანი | 1.70 | 1.90 |
| 12022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 2.10 | 1.50 | 12157 | სედანი-ვალენსიენი | 1.70 | 1.90 |
| 12023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2.20 | 1.50 | 12158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 12101 | ატალანტა-ინტერი | 1.90 | 1.70 | 12161 | შატორუ-გენგამი | 1.70 | 1.90 |
| 12103 | კალიარი-რომა | 1.90 | 1.70 | 12162 | კრეტეი-ამიენი | 1.70 | 1.90 |
| 12105 | ემპოლი-რეჯინა | 1.70 | 1.90 | 12163 | გრენობლი-დიჟონი | 1.70 | 1.90 |
| 12106 | ლაციო-პარმა | 1.90 | 1.70 | 12164 | გენიონი-ბასტია | 1.70 | 1.90 |
| 12107 | მესინა-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 | 12165 | ისტრი-კაენი | 1.70 | 1.90 |
| 12108 | მილანი-უდინეზე | 1.90 | 1.70 | 12166 | ლე ავრი-ნიორი | 1.70 | 1.90 |
| 12110 | პალერმო-სიენა | 1.70 | 1.90 | 12167 | რეიმსი-ლიბურნი | 1.70 | 1.90 |
| 12111 | სამპდორია-კატანია | 1.70 | 1.90 | 12168 | სტრასბური-მეცი | 1.70 | 1.90 |
| 12124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1.60 | 2.00 | 12169 | ტუარი-ბრესტი | 1.70 | 1.90 |
| 12126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.60 | 2.00 | 12170 | ბეერსხოტი-რუზელარე | 2.00 | 1.60 |
| 12127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.60 | 2.00 | 12357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 12128 | დეპორტივო-სევილია | 1.70 | 1.90 | 12490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13005 | დანდი იუნაიტედი-მოზერველი | 1.70 | 1.90 | 13130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 | 13131 | მალიორკა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 | 13132 | უელვა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 | 13134 | სოსიედადი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 1.70 | 1.90 | 13135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | კილმარნოკი-ჰართსი | 1.70 | 1.90 | 13148 | ოსერი-ლილი | 1.90 | 1.70 |
| 13013 | ბაიერნი-მაინცი | 1.90 | 1.70 | 13149 | ლე მანი-ბორდო | 1.90 | 1.70 |
| 13015 | აინტრახტი-ჰერტა | 1.60 | 2.00 | 13150 | ლანსი-ნიცა | 2.00 | 1.60 |
| 13016 | ჰამბურგი-ალემანია | 1.70 | 1.90 | 13151 | მონაკო-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 | 13153 | ნანსი-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 | 13154 | ნანტი-ტულუზი | 1.90 | 1.70 |
| 13019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.60 | 2.00 | 13155 | პსჟ-ტრუა | 1.90 | 1.70 |
| 13020 | შალკე-არმინია | 1.90 | 1.70 | 13156 | რენი-ლორიანი | 1.90 | 1.70 |
| 13022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 2.00 | 1.60 | 13157 | სედანი-ვალენსიენი | 1.90 | 1.70 |
| 13023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 1.60 | 2.00 | 13158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13101 | ატალანტა-ინტერი | 1.60 | 2.00 | 13161 | შატორუ-გენგამი | 1.90 | 1.70 |
| 13103 | კალიარი-რომა | 1.60 | 2.00 | 13162 | კრეტეი-ამიენი | 1.90 | 1.70 |
| 13105 | ემპოლი-რეჯინა | 1.70 | 1.90 | 13163 | გრენობლი-დიჟონი | 1.90 | 1.70 |
| 13106 | ლაციო-პარმა | 1.60 | 2.00 | 13164 | გენიონი-ბასტია | 1.90 | 1.70 |
| 13107 | მესინა-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 | 13165 | ისტრი-კაენი | 1.90 | 1.70 |
| 13108 | მილანი-უდინეზე | 1.70 | 1.90 | 13166 | ლე ავრი-ნიორი | 1.90 | 1.70 |
| 13110 | პალერმო-სიენა | 1.70 | 1.90 | 13167 | რეიმსი-ლიბურნი | 1.90 | 1.70 |
| 13111 | სამპდორია-კატანია | 1.70 | 1.90 | 13168 | სტრასბური-მეცი | 1.90 | 1.70 |
| 13124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1.70 | 1.90 | 13169 | ტუარი-ბრესტი | 1.90 | 1.70 |
| 13126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.90 | 1.70 | 13170 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.60 | 2.00 |
| 13127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.70 | 1.90 | 13357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13128 | დეპორტივო-სევილია | 1.70 | 1.90 | 13490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.70 | 1.90 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 1.70 | 2.20 |
| 14006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 14007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 14008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 14010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 2.20 | 1.70 |
| 14012 | კილმარნოკი-ჰართსი | 2.30 | 1.65 |
| 14013 | ბაიერნი-მაინცი | 1.20 | 2.60 |
| 14015 | აინტრახტი-ჰერტა | 1.80 | 2.00 |
| 14016 | ჰამბურგი-ალემანია | 1.30 | 2.50 |
| 14017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.65 | 2.30 |
| 14018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 14019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.90 | 1.90 |
| 14020 | შალკე-არმინია | 1.08 | 2.90 |
| 14023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2.20 | 1.70 |
| 14101 | ატალანტა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 14103 | კალიარი-რომა | 1.30 | 2.50 |
| 14105 | ემპოლი-რეჯინა | 1.90 | 1.90 |
| 14106 | ლაციო-პარმა | 1.95 | 1.85 |
| 14107 | მესინა-ფიორენტინა | 2.60 | 1.20 |
| 14108 | მილანი-უდინეზე | 1.75 | 2.10 |
| 14110 | პალერმო-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 14111 | სამპდორია-კატანია | 1.90 | 1.90 |
| 14124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 2.10 | 1.75 |
| 14126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.20 | 2.60 |
| 14127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.80 | 2.00 |
| 14128 | დეპორტივო-სევილია | 2.10 | 1.75 |
| 14130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.80 | 2.00 |
| 14131 | მალიორკა-ვალენსია | 2.10 | 1.75 |
| 14132 | უელვა-რეალი | 2.40 | 1.45 |
| 14134 | სოსიედადი-სელტა | 1.70 | 2.20 |
| 14135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.45 | 2.40 |
| 14136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.65 | 2.30 |
| 14148 | ოსერი-ლილი | 1.75 | 2.10 |
| 14149 | ლე მანი-ბორდო | 2.00 | 1.80 |
| 14150 | ლანსი-ნიცა | 1.45 | 2.40 |
| 14151 | მონაკო-ლიონი | 1.90 | 1.90 |
| 14153 | ნანსი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 14154 | ნანტი-ტულუზა | 2.00 | 1.80 |
| 14155 | პსჟ-ტროა | 1.65 | 2.30 |
| 14156 | რენი-ლორიანი | 1.45 | 2.40 |
| 14157 | სედანი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 14158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 2.00 | 1.80 |
| 14161 | შატორუ-გენგამი | 1.80 | 2.00 |
| 14162 | კრეტეი-ამიენი | 2.00 | 1.80 |
| 14163 | გრენობლი-დიჟონი | 1.70 | 2.20 |
| 14164 | გენიონი-ბასტია | 1.70 | 2.20 |
| 14165 | ისტრი-კანი | 2.10 | 1.75 |
| 14166 | ლე ავრი-ნიორი | 1.75 | 2.10 |
| 14167 | რეიმსი-ლიბურნი | 1.80 | 2.00 |
| 14168 | სტრასბური-მეცი | 1.70 | 2.20 |
| 14169 | ტუარი-ბრესტი | 2.20 | 1.70 |
| 14170 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.45 | 2.40 |
| 14357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.90 | 1.90 |
| 14490 | ექსეტერი-მორკამბი | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თან. | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | აბერდინი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | კილმარნოკი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ბაიერნი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | აინტრახტი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ჰამბურგი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | შალკე-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ატალანტა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | კალიარი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ემპოლი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | ლაციო-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | მესინა-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | მილანი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | პალერმო-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | სამპდორია-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | ბეტისი-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15128 | დეპორტივო-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | ლევანტე-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | მალიორკა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15132 | უელვა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | სოსიედადი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | ვილიარეალი-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | სარაგოსა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ოსერი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | ლე მანი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ლანსი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | მონაკო-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | ნანსი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | ნანტი-ტულუზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15155 | პსჟ-ტროა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | რენი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | სედანი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | შატორუ-გენგამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | კრეტეი-ამიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | გრენობლი-დიჟონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | გენიონი-ბასტია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | ისტრი-კანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15166 | ლე ავრი-ნიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | რეიმსი-ლიბურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | სტრასბური-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | ტუარი-ბრესტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | ბეერსხოტი-რუზელარე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | ექსეტერი-მორკამბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 1.40 | 2.55 |
| 16006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.70 | 1.95 |
| 16007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.70 | 1.95 |
| 16008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.80 | 1.85 |
| 16010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 2.40 | 1.45 |
| 16012 | კილმარნოკი-ჰართსი | 2.90 | 1.32 |
| 16013 | ბაიერნი-მაინცი | 1.10 | 5.50 |
| 16015 | აინტრახტი-ჰერტა | 1.55 | 2.20 |
| 16016 | ჰამბურგი-ალემანია | 1.22 | 3.40 |
| 16017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.32 | 3.00 |
| 16018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.75 | 1.85 |
| 16019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.80 | 1.85 |
| 16020 | შალკე-არმინია | 1.02 | 6.70 |
| 16022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.02 | 6.70 |
| 16023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2.40 | 1.45 |
| 16101 | ატალანტა-ინტერი | 1.80 | 1.85 |
| 16103 | კალიარი-რომა | 1.22 | 3.40 |
| 16107 | მესინა-ფიორენტინა | 5.50 | 1.12 |
| 16111 | სამპდორია-კატანია | 1.80 | 1.85 |
| 16124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 2.30 | 1.50 |
| 16126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.12 | 4.60 |
| 16127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.55 | 2.20 |
| 16128 | დეპორტივო-სევილია | 2.40 | 1.45 |
| 16130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.58 | 2.10 |
| 16131 | მალიორკა-ვალენსია | 2.30 | 1.48 |
| 16132 | უელვა-რეალი | 3.30 | 1.25 |
| 16134 | სოსიედადი-სელტა | 1.38 | 2.65 |
| 16135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.25 | 3.40 |
| 16136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.30 | 3.00 |
| 16148 | ოსერი-ლილი | 1.50 | 2.30 |
| 16149 | ლე მანი-ბორდო | 2.20 | 1.52 |
| 16150 | ლანსი-ნიცა | 1.23 | 3.60 |
| 16151 | მონაკო-ლიონი | 1.95 | 1.65 |
| 16153 | ნანსი-სოშო | 1.80 | 1.85 |
| 16154 | ნანტი-ტულუზა | 2.20 | 1.52 |
| 16155 | პსჟ-ტროა | 1.30 | 3.00 |
| 16156 | რენი-ლორიანი | 1.25 | 3.40 |
| 16157 | სედანი-ვალენსიენი | 1.75 | 1.85 |
| 16158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 2.10 | 1.60 |
| 16161 | შატორუ-გენგამი | 1.55 | 2.20 |
| 16162 | კრეტეი-ამიენი | 1.95 | 1.65 |
| 16163 | გრენობლი-დიჟონი | 1.34 | 2.80 |
| 16164 | გენიონი-ბასტია | 1.34 | 2.80 |
| 16165 | ისტრი-კანი | 2.30 | 1.45 |
| 16166 | ლე ავრი-ნიორი | 1.45 | 2.45 |
| 16167 | რეიმსი-ლიბურნი | 1.55 | 2.20 |
| 16168 | სტრასბური-მეცი | 1.34 | 2.80 |
| 16169 | ტუარი-ბრესტი | 2.90 | 1.32 |
| 16170 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.23 | 3.60 |
| 16357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.82 | 1.82 |
| 16490 | ექსეტერი-მორკამბი | 1.70 | 1.95 |

## გოლი:ფყვილი-1ით ჰენტი-2 (0:0 ითვლება ფყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | კილმარნოკი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ბაიერნი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | აინტრახტი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ჰამბურგი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | შალკე-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ატალანტა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | კალიარი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17107 | მესინა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17111 | სამპდორია-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17128 | დეპორტივო-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17131 | მალიორკა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17132 | უელვა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | სოსიედადი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ოსერი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17149 | ლე მანი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ლანსი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17151 | მონაკო-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ნანსი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17154 | ნანტი-ტულუზა | 1.85 | 1.95 |
| 17155 | პსჟ-ტროა | 1.85 | 1.95 |
| 17156 | რენი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | სედანი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17161 | შატორუ-გენგამი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | კრეტეი-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | გრენობლი-დიჟონი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | გენიონი-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ისტრი-კანი | 1.85 | 1.95 |
| 17166 | ლე ავრი-ნიორი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | რეიმსი-ლიბურნი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | სტრასბური-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ტუარი-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17490 | ექსეტერი-მორკამბი | 1.85 | 1.95 |

აფროსნობა

# ვაამოთ ხუან კარლოსს!

## ესპანელებმა ახალზელანდიელებს აფრა აუშალეს

**მოსაწყენად** არ სცალიათ ვალენსიის წყლებში. ლუი ვუიტონის თასის ნახევარფინალში გასულ ოთხ რჩეულ ნავს საამისო დრო არ აქვს. ბრძოლები და ნაოსნობა მიდის ისეთი, ფრენსის დრეიკს და ჯეიმს კუკს შეშურდებოდათ ამ ჩვენი თანამედროვე ზღვის მგლების მეზღვაურული ნიჭი და შემართება.

სუსტი იქ აღარავინ დარჩა. თვით ზეოთხეულის ყველაზე უსახელო წევრს, მასპინძელ „დესაფიო ესპანიოლსაც" კი ლაღად აუშლია აფრები და დანებებას არ აპირებს. ესპანელები ნახევარფინალში მძლავრ ახალზელანდიურ იახტა „თიმ ნიუ ზილენდს" ხვდებიან და თავს არ ი..ახვენენ — საწყისი ორი გაჯიბრების დათმობის შემდეგ, 16 მაისს მესამე შეტოქებაში აჯობეს თასის არაერთგზის მფლობელს, რითაც ჩამორჩენა 1:2-მდე შეამცირეს და მათ დიდ თაყვანისმცემელს და ხელისშემწყობს, ესპანეთის მონარქ ხუან კარლოსსაც დაუამეს წინა დღეებში ნატკენი გული.

16 მაისს „დესაფიო" აშკარად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე „ნიუ ზილენდი", რომელმაც სტარტამდელი დაუშვებელი აქტიურობისა და ფაცაფუცისთვის ტურნირის მსაჯელთაგან შენიშვნები მიიღო.



AFP

დაიწყო შეჯიბრი და ესპანელთა უპირატესობამ გამოკვეთა იწყო. პირქარში ისინი გაცილებით უკეთ და რაციონალურად ხმარობდნენ აფრებს და სტარტიდან პირველ ტივტივამდე, ანუ „მოსახვევამდე" 14 წამი მოუგეს ახალზელანდიელებს. მართალია, ამათ ზურგქარში უკეთ ინაოსნეს და დიდი, პირდაპირი იალქანი, „სპინაკერიც" უფრო სწრაფად გამართეს, რისი წყალობითაც ჩამორჩენა 8 წამამდე შეამცირეს და ფაქტობრივად გაუსწორდნენ ესპანურ ნავს, მაგრამ მეორე წრეზე წასვლისას „დესაფიომ" კიდევ უფრო მარჯვედ გამოიყენა შემხვედრი ჰაერის ნაკადები, ტივტივამდე თავის 8-წამიან უპირატესობას კიდევ 36 წამი დაამატა და საბოლოოდ წუთითა და 14 წამით ადრე გადაკვეთა ფინიში, რითაც ახალზელანდიელებს აგრძნობინა, ნაოსნობა ცუდად არც ჩვენ გვეხერხება და ბრძოლები კიდევ წინააო.

საინტერესოდ და დაძაბულად მიდის მეორე ნახევარფინალიც. აქ ტრადიციულად მძლავრი იახტები — ამერიკული „ბმვ ორეიკლი" და იტალიური „ლუნა როსა" ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. პირველი ორი შეჯიბრში გამარჯვებათა გაცვლის შემდეგ მესამე დღეს იტალიელებმა იყოჩაღეს და მეორედ დაწინაურდნენ.

ეს ნახევარფინალური დუელი ზოგადად ესპანურ-ახალზელანდიურზე დაძაბულია და ასე იყო ახლაც. ბრძოლა ჯერ კიდევ ნავებში ჩასხდომამდე დაიწყო, კაპიტნებმა ერთმანეთს მთლად მოკრივეთა მსგავსი არა, მაგრამ მაინც ვერბალური შეხლა-შემოხლა გაუმართეს. ვერ გეტყვით, რომელმა აჯობა, მაგრამ ნაოსნობაში იტალიელები უკეთ გაისარჯნენ და დასაწყისშივე მოპოვებული ნახევარწუთიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს, რითაც 2:1 დაწინაურდნენ საერთო დავაში.

**კოტე ყორშია**



# ურიდო რიდი

## ცინცაძემ როკი ვერ დაუკარა

წარუმატებლად დაიწყო ფინალური სერია გიორგი ცინცაძის „როკმა", რომელიც ესტონეთის ჩემპიონობას ამ ქვეყნის ძირძველ და ტიტულებით დახუნძლულ ტალინის „კალევს" ეცილება. ტარტუელებმა რეგულარულ ჩემპიონატში „კალევიც" დაჩრდილეს და სხვა დანარჩენიც — პირველი ადგილი დაიკავეს და პლეი ოფში ნებისმიერ შემხვედრთან მოედნის უპირატესობა დაიბევეს.

თუმც რად გინდა — „როკერებმა" ფინალის პირველსავე მატჩში გაანიავეს ეს უპირატესობა. ისინი ტარტუში დედაქალაქელებს მასპინძლობდნენ და დაძაბულ ბრძოლაში 88:93 დამარცხდნენ.

„კალევი" თავიდან კი აგებდა, მაგრამ მერე ისე აკრიფა, „როკერებს" გაუხდათ თავის გადარჩენად საქმე. ტალინელებს წინ ესტონეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვალმო კრიისა მიუძღვოდათ, თუმც მას გვერდში ამერიკელი ლეგიონერები ედგნენ, რომელთაგან ნბაში გამობრძმედილი და წლევანდელი ბალტიის ლიგის უძვირფასესი ტრევის რიდი გამოირჩეოდა.

არავითარი რიდი — რიდმა ტარტუელებს დაუნანებლად დააყარა ორქულიანები, 13 ცდიდან 9 ჩააგდო, რასაც 5 საჯარიმოც მიამატა და 21 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა.

ბოლო მეოთხედის წინ „როკი" 11 ქულას აგებდა, თუმც მასპინძლებმა გათანაბრება მოახერხეს და თამაში ოვერტაიმში გადაიზარდა, სადაც უკვე სტუმრებმა იძალეს. კერძოდ, ამერიკელმა კენდრიკ ჯონსონმა ბოლო წამებზე უმნიშვნელოვანესი სამიანი ჩააჭედა „როკერების" კალათში და ფინალურ სერიაში „კალევი" 1:0 დააწინაურა.

გიორგი ცინცაძემ ხუთეულში დაიწყო თამაში, მაგრამ ჩვენ რომ გაგვიხარდება, ისე არ გარჯილა. მან მთლიანობაში 24 წუთი დაყო მოედანზე და თითო სამქულიანი, ორიანი და საჯარიმო ჩააგდო — 6 ქულა მოაგროვა და სულ ეს იყო. მის ანგარიშზეა ასევე 3 პასი და 1 მოხსნა, რაც დიდი ვერაფერი დახმარება გამოდგა ტარტუელებისთვის.

სერია 3 მოგებამდეა და მომდევნო მატჩიც ტარტუში, 19 მაისს გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

PLAYOFFS 2007

# ჰა, როგორია?

## ნიუ ჯერსიმ დაგვაჯერა

16 მაისი

### აღმოსავლეთი

### კლივლენდი 3:2 ნიუ ჯერსი

**კლივლენდი 72:83 ნიუ ჯერსი**

კლივლენდი: ჯეიმსი (20), ილგაუსკასი (16)

ნიუ ჯერსი: კიდი (20 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა), ჯეფერსონი (15), მური (14), ნახბარი (13), კარტერი (12 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

**ნიუჯერსელებმა** გააკეთეს ის, რაც ასე კარგად გამოსდით მთელი სეზონის განმავლობაში: თავი გადაირჩინეს საზიზღარი რეგულარული ჰქონდა ამ გუნდს — სადღაც ცხრილის შუაში დაცოცავდა, პლეი ოფი სათუოდ გახდომოდა, პატრონები ამ კრებულს დაშლას უპირებდნენ, ამბობდნენ, ვინც გინდათ წაიყვანეთ, შეუცვლელი არავინ გვყავსო. მერე ლიდერები დაემტვრათ — რიჩი ჯეფერსონი ორი თვით, ნედად კრსტიჩი სეზონის ბოლომდე და ფაქტობრივად უცენტროდ დარჩნენ. მოკლედ რომ მოვჭრათ, აერიათ მონასტერი.

ბოლოს „ნიუ ჯერსი" მაინც გავიდა პლეი ოფში, იქ პირველ მეტოქედ ნარგუნებ „ტორონტოს" ჭიტლაყი არგუნა და ლამისაა, ლებრონ ჯეიმსის „კავალერიასაც" ყელში გაეჩხიროს.

„კავალიერზი" სერიაში 3:1 ლიდერობდა და ვარაუდობდა, რომ მეტოქეს მეხუთე, შინაურ თამაშში მოუთავებდა ხელს, მაგრამ ჯეისონ კიდმა და კომპანიამ კლივლენდში ნამდვილი ხოცვა-ჟლეტვა გამართეს, მასპინძელ გუნდს არც ერთი კალათბურთელი არ გაუპარპაშეს, ყველა შეზღუდეს, თვით პრინცი ლებრონიც კი, ვისაც მხოლოდ 14-ჯერ ასროლინეს თამაშიდან და აქედანაც 9 ააცილებინეს. ჯეიმსის და ილგაუსკასის გარდა, კლივლენდელთაგან ვერავინ მოახერხა თუნდაც 10 ქულის მოგროვება მაშინ, როცა დაცვაში კარგი თამაშით შეტევაშიც ფრთაშესხმულ ნიუჯერსელებს ასეთი ერთბაშად 5 კაცი აღმოაჩნდათ.

„კლივლენდს" უჭირდა შეტევაში -- სამი მეოთხედის შემდეგ კალათში მხოლოდ 59 ქულა უჩხრიალებდა და 18 ქულით აგებდა. მართალია, ლებრონის გუნდმა მძლავრი ბოლო მეოთხედი ჩაატარა, განსაკუთრებით დაცვაში, და „ნიუ ჯერსის" 12 წუთში 6 ქულა აკმარა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა, სტუმრებმა მოიგეს და სერიის მეექვსე შეხვედრას შინაურ კედლებში გამართავენ.

„ჰა, როგორია? — გვეკითხება ჯეისონ კიდი — ბევრი იფიქრებდით, რომ ჩვენ საერთოდ გავიდოდით პლეი ოფში?"



AFP

ჯეისონ კიდმა „ნიუ ჯერსი" დაქოქა

# ლურჯი ლაქა შავ სხეულზე

## ფინიქსს ძველი იარა ეტკინა

### დასავლეთი

### ფინიქსი 2:3 სან ანტონიო

**ფინიქსი 85:88 სან ანტონიო**

ფინიქსი: მერიონი (24 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (18 ქულა, 12 პასი), ტომასი (15 ქულა, 12 მოხსნა), ბელი (10)

სან ანტონიო: ჯინობილი (26 ქულა, 10 მოხსნა), დანკანი (21 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ფინლი (13), პარკერი (11)



მანუ ჯინობილიმ ფინიქსელებს 26 ქულა უთავაზა

AFP

**ომობანას** დამსგავსებულ ამ სერიაში „სან ანტონიომ" მესამედ მოახერხა დაწინაურება. „ფინიქსში" სამგზის ჩემპიონებს აკლდათ სათადარიგო ფორვარდი, პროვოკატორი რობერტ ჰორი, ვინაც მეოთხე თამაშში „ფინიქსის" ლიდერ სტივ ნეშთან გამკლავება სპორტში მიუღებელი ხერხებით სცადა.

მაგრამ გაცილებით თვალში საცემი იყო „ფინიქსის" დანაკლისი — „მზეებს" ამ თამაშში გამოაკლდათ ამარე სტუდემაიერი და ბორის დიაუ. სანანტონიოლთაგან მხოლოდ მანუ ჯინობილის მოუბრუნდა ენა, რომ აშკარად მოედანგარედან დაჩაგრულ ფინიქსელებისთვის ეთანაგრძო — კარგი იქნებოდა, ამარეს ეთამაშა, სინდისი დამშვიდებული გვექნებოდაო.

სერიის დაწყებამდე სტუდემაიერმა „სან ანტონიოს" ბინძური გუნდი უწოდა. სერიის ხუთ თამაშში უკვე იმდენი რამ მოხდა, რომ გაჭირდა ბინძურების და სუფთების ერთმანეთისგან გარჩევა.

მეხუთე თამაშში ფინიქსური 20-ათასიანი პუბლიკა განსაკუთრებით მტრულად შეხვდა „სან ანტონიოს" ფრთა ბრიუს ბოუენს. ეს მოთამაშე „განთქმულია" სწორედ ბინძური თამაშით და მისმა იდაყვმა არაერთ ფინიქსელს დაამჩნია შავ სხეულზე ლურჯი კვალი. ბოუენი ამბობდა, ხალხი ტრიბუნებიდან ისეთ მეტსახელებს მეძახდა, მანამდე, საერთოდ გაგონილიც რომ არ მქონდაო. მაგრამ ცივსისხლიან სანანტონიოელს ყურადღება არ მიუქცევია მის თავზე ავად მოგუგუნე ხალხისთვის, თამაშის დამთავრებამდე 36 წამი რომ რჩებოდა, კუთხიდან თავისი საფირმო სამიანი ჩაუგდო „ფინიქსს" და თავის გუნდი 84:81 დააწინაურა, რაც გადამწყვეტი გამოდგა.

მაგრამ სათქმელია, რომ ექვსი კაცით მოთამაშე „ფინიქსს" შეეძლო ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოსულიყო და სერიაში პირველად დაწინაურებულიყო. მასპინძლები მეექვსედან ბოლო წუთამდე ლიდერობდნენ და დასანანი მარცხი განიცადეს. ბოუენის სამქულიანამდე მათ თავს მანუ ჯინობილი დაატყდათ, რომელმაც თავისი 26 ქულიდან 15 ბოლო მეოთხედში გაახერხა და „სან ანტონიო" „ფინიქსს" დააწია.

„ერთი წამითაც ვერ მოეშვები ამ სერიაში და ეს თამაში ამის კიდევ ერთი დასტურია. ჩვენ მეორე მეოთხედში 16 ქულას ვაგებდით და მეტოქეს ოდნავი მოდუნებაც არ ვაპატიეთ" — ამბობდა ჯინობილი ნამატჩევს.

ოღონდ უფრო ზუსტი იქნება, თუ სიტყვა „მოდუნებას" „დაღლილობით" შევცვლით. იმ ორი კაცის არყოფნა, განსაკუთრებით სტუდემაიერისა, ძალიან დაეტყო „ფინიქსს". ახლა დისკვალიფიცირებულები დაუბრუნდებიან და ნეში და კომპანია შეეცდებიან, სან ანტონიოში მესამედაც გაათანაბრონ სერიის ანგარიში. არადა, მშვიდობით, პლეი ოფო!

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაკა ჩახნაშვილი

## ქართველებმა მეორე ვერ დაინახეს

**წარუმატებლად** დასრულდა ამ კვირის ტურნირები ქართველი ჩოგბურთელებისთვის. თურქეთში, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ტურნირებზე ხუთი ჩვენებური მოხვდა ძირითად ბადეში და ხუთივემ პირველივე წრეში წააგო.

სოფო ქაცაბაიასა და სოფო შაფათავას ანთალიურ მარცხზე ადრე ვთქვით და ახლა დანარჩენების შესახებ.

ქართული ქალთა ჩოგბურთის ლიდერი მაკა ჩახნაშვილი ფრანგულ სენტ გარდენში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიან შეჯიბრზე მე-4 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ მაკამ ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა — 18 წლისა და რეიტინგში 179-ე ადგილზე მყოფ რუს ევგენია როდინასთან 6:2 3:6 5:7 დამარცხდა.

სალომე დევიძე და სოფო მელიქიშვილი ამერიკაში, ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ ბიჩის 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული თამაშით მოხვდნენ, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს. სალომეს 6:1 6:4 მოუგო 36 წლის ვეტერანმა ჰოლანდიელმა ბრენდა შულტც-მაკარტნიმ, ვინც მიმდინარე კლასიფიკაციაში 222-ეა, მაგრამ შორეულ 1996 წელს ტოპ-ათეულის წევრიც კი იყო და მე-9 პოზიცია ეკავა.

მელიქიშვილი 20 წლისა და რეიტინგში 265-ე ადგილზე მყოფ ურუგვაიელ ესტეფანია კრაკუნთან დამარცხდა. სოფომ ერთი სეტი კი აართვა მეტოქეს, მაგრამ საბოლოოდ ჯამში ურუგვაიელმა 6:4 3:6 6:3 იმარჯვა.

# სტოსურმა მორესმო მოსრა

**მასტერსი. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი**

საპრიზო 2 200 000 $

**მეორე წრე**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (4, სერბეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:6 6:3; იარკო ნიემინენი (ფინეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:2 6:4; ხოსე აკასუსო (არგენტინა) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 3:6 7:6 6:3; ნიკოლაი დავიდენკო (3, რუსეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:7 6:4 7:5; ფერნანდო გონსალესი (5, ჩილე) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:5 6:4; იურგენ მელცერი (ავსტრია) — რიშარ გასკე (11, საფრანგეთი) 6:3 6:4

**მესამე წრე**

დავიდ ფერერი (12, ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (7, ხორვატია) 6:3 6:2; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:4 6:1; კარლოს მოია (ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) 1:6 6:3 6:3

**ქალები. რომი. იტალია. თიხნარი**

საპრიზო 1 340 000 $

**მეორე წრე**

სამანტა სტოსური (ავსტრალია) — ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) 7:5 6:7 7:6; შაჰარ პირი (11, ისრაელი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:0 6:2; ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) — ტამირა პაშეკი (უნგრეთი) 6:3 6:4; ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) — ტატიანა გარბინი (16, იტალია) 6:4 6:2; ნატალი ვიერინი (იტალია) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 4:6 6:4 6:4; სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) — მარა სანტანჯელო (იტალია) 6:3 6:3

**მესამე წრე**

ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) — ნადია პეტროვა (5, რუსეთი) 4:3 (უარი); დანიელა ჰანტუხოვა (9, სლოვაკეთი) — ანა ჩაკვეტაძე (7, რუსეთი) 6:2 6:3



ამელი მორესმოს რომში ღრიალიღა შერჩა

AFP

**უკვე** შეიძლება ითქვას, რომ ჰამბურგის მასტერსი საბოლოოდ გახურდა — გერმანულ თიხას უკვე ყველამ გაუსინჯა გემო და იქაურ მაყურებლებსაც საშუალება მიეცათ, თანამედროვე ჩოგბურთის ბობოლების სათამაშო ფორმა საკუთარი თვალით ეხილათ.

როჯერ ფედერერზე გუშინ მოგახსენეთ და ისიც აღვნიშნეთ, რომ შვეიცარიელი მართლაც ძალიან შორს არის ჩვეული ფორმიდან. სამაგიეროდ, რაფაელ ნადალი პირდაპირ დაფრინავს კორტზე და იმის, რომ შეიძლება მისი გამჩერებელი გამოჩნდეს, სულ უფრო ცოტას სჯერა. ესპანელი ჯადო ბიჭი არად დაგიდევთ უზომოდ გადატვირთულ გრაფიკს და მეტოქეებს იმდენად იოლად უსწორდება, თითქოს ვარჯიშზე იყოს. ამჯერად ფაქტობრივად 24 საათში ორი მატჩი გამართა და ვერც ამან დააკავა — ჯერ იყო და ოთხშაბათს გვიან ღამით თანამემამულე ოსკარ ერნანდესს გაუსწორდა, გუშინ ნაშუადღევს კი იგორ ანდრეევასაც გამოუწერა ნაადრევი ბილეთი სახლისკენ. თან ამით მალიორკელმა ვარსკვლავიჭუნამ გარკვეულწილად შურიც იძია — ანდრეევი ხომ ის ჩოგბურთელია, ვინც რაფა უკანასკნელად დასცა თიხნარზე. ეს ამბავი ორი წლის წინ ვალენსიაში მოხდა, მაგრამ ნადალს დავიწყებული არაფერი ჰქონია და ამიტომაც ბოლომდე მებრძოლ რუსს მაინც თავისუფლად გადაუარა. რაფას გრუნტზე მოპოვებული გამარჯვებების სერიამ კი უკვე 79-ს უწია.

კიდევ ერთი ესპანელი, რომელმაც მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა, ვეტერანი კარლოს მოიაა. ექსპირველმა ჩოგანმა ძალიან მძიმე ბრძოლაში წააქცია ჯეიმს ბლეიკი. სამისოდ პირინეელმა პირველ სეტში განცდილი კრახი დაივიწყა, რადგან იქ ამერიკელმა პირწმინდად დაჩაგრა, თუმც მომდევნო ორ პარტიაში უკანა ხაზიდან დაწყებული მეთოდური შეტევებით მოიამ მაინც გატეხა ბლეიკი და ახლა ნოვაკ ჯოკოვიჩისა და იარკო ნიემინენის წყვილის გამარჯვებულს ელოდება.

პირინეული წარმომადგენლობა მეოთხედფინალში მხოლოდ ნადალითა და მოიათი არ შემოიფარგლება — საუკეთესო რვაში მოხვედრა შეძლო დავიდ ფერერმაც, რომელსაც საამისოდ ივან ლიუბიჩიჩი დაამარცხა. ფერერმა ეს ზედმეტი პრობლემების გარეშე გააკეთა და ხორვატს მინიმალური შანსიც არ დაუტოვა.

აი, რომში მიმდინარე ქალთა ტურნირზე პირველი ხმაურიანი სენსაცია შედგა — როცა იტალიის დედაქალაქს პირველ ნომრად განთესილი ამელი მორესმო გამოემშვიდობა. მხარბეჭიანი ფრანგის ცოდვა სამანტა სტოსურმა დაიდო. შეხვედრა მართლაც ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა — ჩოგბურთელებმა თითქმის სამი საათი იჭიდავეს და აწვალეს ერთმანეთი, თუმც საბოლოოდ ავსტრალიელს უფრო მყარი ნერვები აღმოაჩნდა. ისე, სტოსურს ადრევე შეეძლო საქმის მომთავრება, როცა სეტი ჰქონდა მოგებული და ჯერ 5:4, შემდეგ 6:5 მიჰყავდა, მაგრამ მორესმომ ანგარიში გაათანაბრა და საქმე მესამე სეტის ტაიბრეიკამდეც მიაჯახირა, სადაც უკვე ძალა აღარ ეყო.

„ასეთ ბრძოლაში აქამდე არასოდეს მომიგია. თუმც დღეს რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი გამომივიდოდა და მადლობა ღმერთს, რომ გამიმართლა“ — ბედნიერი იყო ნამატჩევს ოზი ქალი.

ეს ყველაფერი მეორე წრეში მოხდა. თუმც ამის გარდა რომში რამდენიმე მეოთხედფინალისტის ვინაობაც გაირკვა — ეს იღბლიანები ელენა დემენტიევა და დანიელა ჰანტუხოვა აღმოჩნდნენ. პირველმა რუსულ დუელში ნადია პეტროვა დასცა — აქ ლენას მაგრად გაუმართლა, რადგანაც ხანგრძლივი ჯახი ელოდებოდა, მაგრამ პეტროვამ ტრავმა მიიღო და თამაში ვერ გააგრძელა.

აი, ჰანტუხოვამ კი პირწმინდად დაჩაგრა ანა ჩაკვეტაძე და ეს უპირველესად მოწოდებაზე კარგი თამაშით მოახერხა.

**კახა ლომაშვილი**

# მათთვის პარიზი მესად არ ღირს

**წლის** მეორე სლემტურნირის, „როლან გაროსის“ დაწყებამდე ათიოდე დღე დარჩა და საჩოგბურთო სამყაროც ნელ-ნელა ემზადება ამ დიდი ფორუმისთვის. თუმც ტურნირს დანაკლისი დაწყებამდეც აქვს.

პარიზში კიმ კლაისტერსი რომ არ ჩავიდოდა, ორიოდ კვირის წინ შევიტყვეთ. ფუმფულა ბელგიელმა დაგეგმილზე ადრე გადაწყვიტა კორტიდან წასვლა და ხელიც საბოლოოდ დაგვიქნია.

„როლან გაროსზე“ ვერ ითამაშებს კიდევ ერთი ექსპირველი ჩოგანი, 1997 და 1999 წლების ფინალისტი მარტინა ჰინგისი. შვეიცარიელს სეზონის დასაწყისიდან აწუხებს ფეხის ტრავმა, რომელიც ვერაფრით მოუშუშებია. წინა კვირას მარტინამ ბერლინში სცადა საპარიზო სამზადისის დაწყება, მაგრამ, როგორც ჩანს, იჩქარა და ტრავმა გაიმიზეზა. ამის გამო ჰინგისი „როლან გაროსს“ გამოტოვებს.

დანაკლისია კაცთა შორისაც. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ტურნირის სამგზის ჩემპიონის გუსტავო კუერტენის არყოფნა. გუგამ, რომელიც ყველნაირად ცდილობს ფორმის აღდგენას, განაცხადა, რომ ასეთი ტურნირისთვის მზად არ არის:

„ნამდვილად არ ვარ იმ ფორმაში, ღირსეულად რომ ვითამაშო. ამის გარეშე კი ჩემს პარიზში ჩასვლას აზრიც არა აქვს“.

იგივე მიზეზით პარიზში არ ჩავა „როლან გაროსის“ სამი წლის წინანდელი გამარჯვებული გასტონ გაუდიო. არგენტინელი ბოლო ხანებში რომ ამაზრზენ ფორმაშია, არაერთხელ აღვნიშნეთ — ჩანს, ასეთი ჯახირი თავად გაუდიოსაც მობეზრდა და მან საერთოდ ჩოგბურთიდან დროებით წასვლა გადაწყვიტა.

პარიზში ვერ ჩავა მარიო ანჩიჩიც — ახმახი ხორვატი ორი თვეა, ვერაფრით განიკურნა რაღაც ვირუსისგან. ბალკანელმა მხოლოდ რამდენიმე დღის წინ მიიღო ექიმების ნებართვა ვარჯიშის განახლების თაობაზე და რადგანაც ვერ მოასწრებს წლის მეორე სლემტურნირისთვის ხეირიანად მომზადებას, აქედანვე გააფრთხილა ორგანიზატორები, თუმც ანჩიჩს იმედი აქვს, რომ უიმბლდონისთვის მაინც მოასწრებს ფორმაში ჩადგომას.

**კახა ლომაშვილი**



# მინუს ხუთი და გულივერი

**კოკუგიკანური** ბაშოს მესამედის ჩავლის შემდეგ ქართველი სეკიტორის, კოკაის ანგარიშზე ხუთქულიანი მინუსბალანსია. სამაისო მოუგებელი სერია გუშინ იოკოძუნა ასასიორიუსთან მარცხით გაგრძელდა. ლევან ცაგურია პლანეტის უძლიერეს სეკიტორს მხოლოდ ორნახევარი წამი გაუძალიანდა. ახლა ჩვენებური უმაღლეს დივიზიონ მაკუტის 42 ბინადარს შორის ერთ-ერთი აუტსაიდერია და საერთო დადებითი ბალანსისთვის — კატიკოსისთვის დარჩენილ ათ ტურში რვა ქულის აღება სჭირდება.

დღეს ცაგურია „ბალკანელ გულივერს“, კოტოოსიუს დაეჭიდება. საინტერესოა, რომ ბულგარელი ოძეკიც და ქართველი ექსკომუსუბიც წლების წინ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები და ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონები იყვნენ. დიდ სუმოში კი სტატისტიკა კოტოოსიუს სასარგებლოდ მეტყველებს — 6:4. ცნობისთვის, „გულივერის“ ანგარიშზე მაისის ბაშოზე ოთხი ქულაა და ერთპიროვნულ ლიდერთა შეიდეულს იგი ერთი ნაბიჯით ჩამორჩება. გუშინ კი თავისზე 27 სანტიმეტრით დაბალ ექსკომუსუბი კაკიძოუს აჯობა.

ბოლოს, იმპერატორის თასისკენ ყველაზე ჯიქურ გამწევ დევკაცებზეც ვთქვათ. იოკოძუნა ასასიორიუ, ოძეკები: ხაკუხო, კაიო და ტიოტაიკაი და რიგითი მაეგაშირები: დეძიმა, ასასეკირიუ და ფუტენო ჯერ ერთხელაც არ წაქცეულან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



AFP

## 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი

# პირველი მთა და პირველი სისხლი

## დიადთა შვილები ზედახორას ვერ გადაურჩნენ



AFP

დანილო დი ლუკამ 2001 წელი გაიმეორა

**ერთდღიანი** შესვენების შემდეგ საიუბილეო, 90-ე „ჯირო დიტალიას" მონაწილენი სარდინიადან მატერიკზე გადაბარგდნენ და მათ წინაშე ევრევე პირველი კატეგორიის სირთულის მთა — მონტევერჯინე დი მარკოლიანო აღიმართა.

მეოთხე ეტაპზე მრბოლებს სამხრეთიტალიური ქალაქ სალერნოდან ჩრდილოეთით, აპენინების მთებში 153 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი და აქედან ბოლო 60 კილომეტრი მთლიანად აღმართი იყო. შეიძლება, ეს აღმართი არც ისე ციცაბო იყო, მაგრამ 60 კილომეტრი მაინც გვარიანი გზაა, მით უმეტეს, რომ ამ გზის ბოლოს პირველი კატეგორიის მწვერვალი და აღმართში ფინიშია.

თანაც, ამ გრძელი აღმართის დაწყებამდე მასობრივი ზედახორა მოხდა, რომელშიც ისეთი ცნობილი მრბოლებიც მოჰყვნენ, პაოლო ბეტინი და აქსელ მერქსი რომ არიან. მერქსი, მოგეხსენებათ, ველოსპორტის ლეგენდის, დიადი ედი მერქსის შვილია და ბედის ირონიით, ამ ზედახორაში აქსელის გარდა წარსულის კიდევ ერთი დიდი ველოსიპედისტის, 1987 წელს „ჯიროსა" და „ტურის" წყვილად მომგები ირლანდიელის სტივ როშის ვაჟი ნიკოლიც მოჰყვა.

მერე კი აღმართი დაიწყო და პელოტონიდან სამნი გაიქცნენ — ესპანელი მარზელ ირიზარი, რუსი პაველ ბრუტი და უკრაინელი იური კრივცოვი. ამ სამმა კარგა ხანს იარა სინქრონულად და მონტევერჯინე დი მარკოლიანოს სერპანტინსაც რბოლის თავში შეუყვა, მაგრამ მერე გაქცეულებს ძალა გამოელიათ და ამასობაში წინ მექსიკელი ხულიო ალბერტო პერეს კუაპიო გაიჭრა. „პანარიას" მრბოლმა თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ფავორიტთა ჯგუფმაც ჩართო სიჩქარე. განსაკუთრებით სინქრონულად იტალიური „ლიქუიგასის" წევრები მუშაობდნენ, რომლებიც ცივ ნიავს არ აკარებდნენ თავიანთ ლიდერს დანილო დი ლუკას. შედეგად, ფინიშამდე კილომეტრიღა რომ რჩებოდა, პელოტონის მოწინავე ჯგუფმა კუაპიო ჩაყლაპა. ამ ჯგუფში დი ლუკას გარდა „ჯიროს" ძველი ჩემპიონები დამიანო კუნეგო, პაოლო სავოლდელი, სტეფანო გარძელი და ჯილბერტო სიმონიც იყვნენ, მაგრამ ამათგან დი ლუკაზე უკეთესი ფინიშის ოსტატი არავინაა, თანაც „ლიქუიგასი" მართლაც იდეალურად მუშაობდა და ბოლო მეტრებზე დანილომ შანსი არავის დაუტოვა.

აღსანიშნავია, რომ დი ლუკამ სწორედ ანალოგიურ, საფინიშო სტილში მოიგო 2001 წლის „ჯიროს ეტაპი, რომელიც მონტევერჯინე დი მარკოლიანოს მთაზე დასრულდა. ამ გამარჯვებით დანილომ ისევ დაიბრუნა ლიდერის ვარდისფერი მაისურა. მის უკან „ლიქუიგასის" სხვა წევრები არიან, ხოლო სხვა ფავორიტები დი ლუკას ასე ჩამორჩებიან: კუნეგო 54 წამით, სავოლდელი — წუთითა და 7 წამით, გარძელი — წუთითა და 25 წამით, უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩი — წუთითა და 43 წამით, ხოლო სიმონი — ზუსტად ორი წუთით.

### მე-4 ეტაპი. სალერნო — მონტევერჯინე დი მარკოლიანო. 153 კმ

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | 4 სთ 22 წთ 42 წმ |
| 2. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | იგივე დრო |
| 3. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | იგივე დრო |
| 4. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +3 წმ |
| 5. სტეფანო გარძელი (იტალია, „აკვე ე საპონე") | +3 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | 14სთ 26წთ 10 წმ |
| 2. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ,ლიქუიგასი") | +26 წმ |
| 3. ანდრეა ნოე (იტალია, „ლიქუიგასი") | +34 წმ |
| 4. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, „ლიქუიგასი") | +35 წმ |
| 5. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +53 წმ |



## M-TEL MASTERS-ის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 9-20 მაისი

**VI ტური**

| | | |
|---|---|---|
| კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) | 1:0 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 1:0 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზრბაიჯანი) |

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | შაჰრიარ მამედიაროვი ---- | 3,5 |
| 2. | კრიშნან საშიკირანი ------- | 3,5 |
| 3. | მაიკლ ადამსი -------------- | 3,0 |
| 4. | ვესელინ ტოპალოვი -------- | 3,0 |
| 5. | ლივიუ-დიტერ ნისინიანუ - | 2,5 |
| 6. | გატა კამსკი --------------- | 2,5 |

# კრიშნანი შაჰრიარს მიუჯდა

**მეექვსე ტურამდე** მოჭადრაკეებმა ერთი დღე დაისვენეს და სოფიის „ლევსკის" ფეხბურთელებთან ამხანაგურად ბურთი გაგორეს. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხბურთელებმა მოიგეს 6:4.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მოჭადრაკეებმა ურიგოდ არ ითამაშეს და ღირსეულად წააგეს. მატჩის შემდეგ კი ტურნირის ლიდერი შაჰრიარ მამედიაროვი ხუმრობდა, ჩვენ მაგათ ოთხი გოლი გავუტანეთ, აბა, ახლა მათ ერთი პარტია მოგვიგონო.

როგორც ჩანს, ფეხბურთმა დიდად არგო კრიშნან საშიკირანს. ინდოელმა მოჭადრაკემ მაიკლ ადამსს თეთრი ფიგურებით მოუგო და მამედიაროვს პირველ ადგილზე შეუამხანაგდა.

მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს. საშიკირანმა ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა, მხედრით წინ გაიჭრა და შეუტია. ინდუსი თანდათან გააქტიურდა, ლაზიერის ფლანგიდან იერიში გააძლიერა და 21-ე სვლაზე მეტოქეს მხედარი ეტლში გაუცვალა. საშიკირანმა d ხაზზე მოძრავი პაიკი ჩასათვლელი ხაზისკენ გაუშვა, დაცვად კი ორივე მხრიდან ეტლები დაუყენა. ადამსმა რამდენიმე სვლა გაუძალიანდა მეტოქეს, თუმც ვერაფერს გახდა და 34-ზე ალამი დაუშვა.

შავი ფიგურებით მოიგო ვესელინ ტოპალოვმა. მან ევროპის ჩემპიონი ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ 54-ე სვლაზე დააშამათა და პირველ წრეში დამარცხებისთვის რევანშიც აუღო.

**ლაშა გეგეჭკორი**



## პლეი ოფი. ნახევარფინალი

## აღმოსავლეთი

### ბუფალო 1:3 ოტავა

**მეოთხე მატჩი**

**ოტავა 2:3 ბუფალო**

*0:1 2:2 0:0*

0:1 როი (1, დრური), 0:2 აფინოგენოვი (25, უმრ. ბრიარი, პომინვილი), 0:3 დრური (29, კონოლი, როი), 1:3 მაკამონდი (35, მესაროში, კელი), 2:3 შეფერი (37, კომრი, კორვო)



AFP

რაიან მილერმა შაიბაც დაიჭირა და ოტაველი ჯეისონ სპეცაც

# რაფის არიფული არითმეტიკა

**„ბუფალომ"** აგონია ერთი მატჩით გაიხანგრძლივა, „ოტავა" გასვლაზე დაამარცხა და ახლა სახლში ეცდება ჩამორჩენა მინიმუმადე შეამციროს. მაგრამ მაინც ძალიან საეჭვოა, „ხმლებმა" ამ სერიის სათავისოდ შემობრუნება შეძლონ — ნჰლ-ის 88-წლიან ისტორიაში მხოლოდ ორ გუნდს მოუხერხებია 0:3-ის შემობრუნება, „ბუფალო" კი იმ გუნდს ნამდვილად არ ჰგავს, რომელსაც ისტორიის გადაწერა ძალუძს. თუმც ამერიკული გუნდის დამრიგებელი ლინდი რაფი სულ სხვანაირად ფიქრობს და თავის მოსაზრებას რიცხვებითაც ასაბუთებს:

„პირველად ასეთი ჩამორჩენა „ტორონტომ" აღმოფხვრა 1942 წელს, მეორედ „აილენდერსმა" 1975-ში, ანუ 33 წლის შემდეგ. 1975-დან დღემდე კი თითქმის იმდენივე დროა გასული — აბა, 32 და 33 რამ გაყო. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია და ყველანაირად ვეცდებით, მესამე გუნდი გავხდეთ, ვინც 0:3 ამოქაჩა".

რაფი ალბათ მხოლოდ ამით თუ ამხნევებდა მეოთხე მატჩის წინ თავის ჰოკეისტებს, რადგანაც საიმედო მის გუნდს სხვა აღარაფერი შემორჩენოდა — „ოტავა" ამ სერიაში მართლაც ერთი თავით ძლიერი ჩანს.

გუშინ მწვრთნელის ოპტიმიზმით შეგულიანებულმა „ბუფალომ" ურთულესი მიზნისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ „ხანჯლებს" ძალიან მაგრად გაუმართლათ — ჯერ იყო და მატჩი მათთვის იდეალურად დაიწყო, როცა დერეკ როიმ ანგარიში მე-9 წამზე გახსნა (მასზე სწრაფად პლეი ოფის ისტორიაში მხოლოდ ლოს ანჯელესელ დენ კოზაკს გაუტანია 1977 წელს), შემდეგ პირველ პერიოდში გუნდი ორჯერ ხარიხამ გადაარჩინა და ბოლოს მეორე პერიოდის დასაწყისში „ბუფალომ" ორი სწრაფი შაიბით ვითომდა ყველაფერი მოამთავრა. თუმც ამერიკელებმა კინაღამ ამ უპირატესობის განიავებაც მოახერხეს და „ოტავას" ანგარიში მინიმუმამდე შეამცირებინეს.

მესამე პერიოდში მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს „ბუფალოს" კარებთან. ხმლებმა თავიანთ მეკარე რაიან მილერს ფეხები უნდა დაუკოცნონ, რადგანაც მხოლოდ მის გამო ვერ შეძლეს „სენატორებმა" მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა.

ასეა თუ ისე, სერიამ ისევ ბუფალოში გადაინაცვლა, სადაც ამერიკელები გუშინდელი მცირე წარმატების შემდგომ განვითარებას შეეცდებიან, „სენატორებს" კი კიდევ ერთი შანსი ექნებათ სტენლის თასის ფინალის საგზურის გასანაღდებლად.

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge